საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბოჭდეგუნი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭიანებით ბუჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 25 ნოემბერი. 2022 წ. №179 (9517) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ხალხის ძალის“ დიპლომატიური კრახი თუ... თავისუფალი სიტყვის გამარჯვება?!

„ხალხის ძალა“ ახალ განცხადებას ავრცელებს

მოძრაობა „ხალხის ძალა“ მორიგ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „იმედინიუსი“ უცვლელად გვთავაზობს.

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ ენჯეიოებმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს წერილობით სთხოვეს, სალომე ზურაბიშვილს ნიკა გვარამიას შეწყალებისკენ მოუწოდოს.

საზოგადოებისთვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ „ელიტური“ ენჯეიოები საელჩოს რესურსია. ამ ენჯეიოებს ფულს საელჩო უხდის და შესაბამისად, მუსიკასაც ის უკვეთავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი გვარამიას შეწყალებისთვის ამზადებენ ნიადაგს.

ამასთან, როგორც ჩანს, ისინი გარკვეულ ფორმალობებს იცავენ და სალომე ზურაბიშვილისთვისაც სახის თუნდაც ნაწილობრივ შენარჩუნებას ცდილობენ. უნდათ საქმე ისე გააფორმონ, რომ ზურაბიშვილმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს უარი ვერ უთხრა და გვარამია ამიტომ შეიწყალა.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ამერიკელები საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ თითქმის ყველა ქმედებას ევროპული სტრუქტურების გამოყენებით ახორციელებენ, განსაკუთრებით შემაშფოთებელია. სწორედ ევროპული სტრუქტურების მეშვეობით შექმნეს მათ ივნისში მღელვარება, რაც, მათივე გათვლით, ხელისუფლების ცვლილებით უნდა დასრულებულიყო, ასევე, ევროპელებს წამოაწევინეს როგორც ბიძინა ივანიშვილის სანქციირების, ისე გვარამიას შეწყალების თემა.

აძვე, კიდევ ერთხელ გავიხსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი 2004-07 წლებში მაშინდელ ხელისუფლებას აქტიურად ეხმარებოდა, მათ შორის პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეების დიდ ნაწილს ხელფასებსაც კი უხდიდა, ფინანსურად ეხმარებოდა ჯპარს და პოლიციას, გაარემონტა და აღჭურვა უამრავი სკოლა და ა.შ. თუმცა, მაშინ ის ოლიგარქად არავის მოუხსენებია. ივანიშვილის მიმართ საელჩოს უარყოფითი განწყობა მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ის საელჩოს მთავარ აგენტს, მიხეილ სააკაშვილს დაემშვიდობა.

იხ. 2 გვ.

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი:

ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა

გამოწვევებით სავსე პერიოდში, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობების განახლებიდან 30 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა, – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი **რიში სუნაკი** საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილისადმი** მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომლის თარგმანსაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს. როგორც წერილშია აღნიშნული, გაერთიანებული სამეფო საქართველოს გვერდით დგას რუსეთის განგრძობადი აგრესიის პირობებში.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო! მადლობას მოგახსენებთ 26 ოქტომბრით დათარიღებული მოლოცვის წერილისთვის. უპირველეს ყოვლისა, უდიდეს მადლობას გიხდით მისი უდიდებულესობა ელისაბედ II დედოფლის გარდაცვალების გამო თბილისში ბრიტანეთის საელჩოში მიბრძანებისა და თანაგრძნობის გამოსატვისთვის.

ამ გამოწვევებით სავსე პერიოდში, როდესაც დიპლომატიური ურთიერთობების განახლებიდან 30 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ასეთი უმნიშვნელოვანესი არასდროს ყოფილა. მინდა გარწმუნოთ, რომ გაერთიანებული სამეფო საქართველოს გვერდით დგას რუსეთის განგრძობადი აგრესიის პირობებში. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ვაგრძელებთ რუსეთის მოწოდებას, რათა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება გაითხოვოს და საქართველოს ხსენებულ რეგიონებში ჰუმანიტარულ დახმარებაზე დაუბრკოლებელი წვდომა უზრუნველყოს.

მიხარია, რომ 2023 წლის დასაწყისში გაერთიანებული სამეფო უმასპინძლებს „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ შემდეგ ღონისძიებას, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მთელ სპექტრს მოიცავს და კიდევ უფრო განამტკიცებს სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 2021 წლის პირველ იანვარს შევიდა ძალაში.

მივესალმები ასევე უკრაინისადმი საქართველოს მხარდაჭერას. ამ უკანონო ომმა უხეშად შეგვახსენა ის საფრთხე, რომელსაც რუსეთი უქმნის საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს, მათ შორის ტერიტორიულ მთლიანობას. ურყევია გაერთიანებული სამეფოს, ისევე როგორც თქვენი მხარდაჭერა უკრაინისადმი. მოუთმენლად ველი თქვენთან მუშაობას ჩვენი ერების კეთილდღეობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიზნით ჩვენი პარტნიორობის გაძლიერებისა და გამყარების გზით“, – აღნიშნულია წერილში.

მაგარი ინდოელი, 42 წლის რიში სუნაკი ინგლისის პრემიერია!

იხ. 8 გვ.

ვახტანგ დავითაია:

კულტურა არ ყვირის, არ იგინება, მაგრამ მას უდიდესი ძალა აქვს!

იხ. 5 გვ.

დიდი დავით აღმაშენებელი ისევ ყოვლად უადგილო ადგილზე, დიღმის ტრასაზე დგას!!!

„ხალხის ძალის“ კრახი თუ... გამარჯვება?!

(პირველი გვერდიდან) ახლა კი, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან სრულად არის დისტანცირებული და მხოლოდ ძველმოძმეობითა და ძვეყანაზე ზრუნვით არის დაკავებული, მას ოლიგარძად აცხადებენ, რაც საელჩოს ორმაგ სტანდარტებზე დამატებით მეტყველებს.

„მთავარი არხი“, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობის კუთვნილი სხვა მედიასაშუალებები, საქართველოში სიცრუისა და რადიკალიზმის მთავარი წყაროა. სიცრუე და რადიკალიზმი კი არის ერთადერთი იარაღი, რომლის გამოყენებითაც საელჩომ „ქართული ოცნება“ აგენტურით შეიძლება ჩაანაცვლოს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ამ რესურსს ისინი განსაკუთრებულად უფრთხილდებიან და მფარველობენ. ყველა ვხედავთ, რომ „მთავარი“, „ტვ პირველი“ და სრულიად ურეიტინგო „ფორმულაც“ კი, ელჩის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობენ და ის თითქმის ექსკლუზიურად მხოლოდ ამ ტელევიზიებს სტუმრობს.

მეტ-ნაკლებად ობიექტური მედიაგაშუქებისა და რადიკალიზაციის შემცირების პირობებში, „ქართული ოცნება“ ისე გამაგრდება, რომ საქართველოში აგენტოკრატიის დამყარების „ამერიკული ოცნება“ შეიძლება ბოლომდე აუხდენელი დარჩეს. ბუნებრივია, საელჩოს ამის დაშვებაც არ უნდა და ისინი ფიქრობენ, რომ გვარამიას შეწყალებით სიცრუესა და რადიკალიზმს ახალ სტიმულს მისცემენ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საელჩო სააკაშვილის გასათავისუფლებლადაც აქტიურად ილვწის. ენჯეოების, ლომჯარიას და ცნობილი ევროპარლამენტარების აქტიურობა ამის მკაფიო დასტურია. ამის მიღმაც, ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ საკაშვილის საზღვარგარეთ გაშვების მოწოდებით ისინი უკვე, პრაქტიკულად, ყველა კაბინეტს სტუმრობდნენ. საზოგადოების რეაქციის ეშინიათ და სააკაშვილის განთავისუფლებაზე საჯაროდ საუბარს ვერ ბედავენ, თუმცა, ვიცით, რომ ელჩით დაწყებული, ვაშინგტონიდან ჩამოსული სტუმრებით დამთავრებული, სააკაშვილის საზღვარგარეთ გაშვება ხელისუფლებისგან უკვე ყველამ ითხოვა.

სალომე ზურაბიშვილი გაპრეზიდენტებიდან სამი წლის თავზე საელჩოს ფავორიტად რომ იქცა, საზოგადოებისთვის ესეც კარგად არის ცნობილი. სალომე ზურაბიშვილისთვის, რომელსაც პირველი სამი წლის მანძილზე ერთი წესიერი ვიზიტი და საერთაშორისო მედიაში ერთი წესიერი გამოჩენაც კი არ ღირსებია, მას შემდეგ ნებისმიერი მაღალი რანგის უცხოელი პოლიტიკოსისა და მედიასაშუალების კარი ღიაა. ცოტა ხნის წინ, ქართული რადიკალიზმის ცნობილმა მხარდამჭერმა, დევიდ კრემერმაც თქვა, პოლიტიკურ პროცესებში ლიდერის როლი პრეზიდენტმა უნდა იტვირთოსო. არადა, იგივე კრემერი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს სალომე ზურაბიშვილის საწინააღმდეგო კამპანიაში იყო აქტიურად ჩართული და მას განცხადებებს საჯაროდ უწუნებდა.

ზოგადად, საპრეზიდენტო არჩევნების დროს და მომდევნო სამი წლის განმავლობაში გამოჩნდა, რომ სალომე ზურაბიშვილი არ იყო საელჩოდან მართული და ამ თვალსაზრისით, მის კანდიდატურაზე არჩევანი სწორად შეჩერდა. მთელი საპრეზიდენტო კამპანიის განმავლობაში, მას ღიად ესხმოდნენ თავს როგორც რადიკალური ოპოზიცია და მისი მედიასაშუალებები, ისე ენჯეოები და საელჩოს სხვა შიდა თუ გარე პარტნიორები. ნიკა გვარამია სალომე ზურაბიშვილს რუსეთის რეზიდენტს ისე უწოდებდა და მის მიმართ ისე ბილწსიტყვაობდა, რომ ამაზე არცერთ, თუნდაც ძალთა უფლებებზე მომუშავე ენჯეოს ერთი ფორმალური კრიტიკული განცხადებაც კი არ გაუკეთებია.

ზუსტად ასევე ჰყავდათ ის მოძულებული მომდევნო სამი წლის განმავლობაშიც. თუმცა, სამი წლის თავზე, როდესაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ვერ შეცვალეს და პოზიციების გასამყარებლად ყველა შესაძლო რესურსის მობილიზება დასჭირდათ, საელჩომ სალომე ზურაბიშვილის გადაბირება გადაწყვიტა და მიზანს ადვილადაც მიაღწია. როგორც ჩანს, ზურაბიშვილის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული როლი დედობრივმა ინსტიქტმა შეასრულა და მან ორივე შვილის ნახტომისებური სამსახურებრივი დაწინაურების ცდუნებას ვერ გაუძლო. ბუნებრივია, მის გადაწყვეტილებაში უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებთან შეხვედრისა და ფართო საერთაშორისო მედიაგაშუქების ცდუნებაც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა.

საბოლოოდ, ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ სალომე ზურაბიშვილი ან უკვე სრულად ექვემდებარება საელჩოს ნებისმიერ მოთხოვნას ან მას ამგვარი დაქვემდებარების გაფორმებამდე ერთი ნაბიჯიღა შეიძლება აშორებდეს. სწორედ გვარამიას და სააკაშვილის შეწყალებით გაირკვევა, საბოლოოდ ჩადგა თუ არა ის უცხო ქვეყნის სამსახურში. გვინდა თუნდაც მცირე იმედი დავიტოვოთ, რომ სალომე ზურაბიშვილში მისი დიდი წინაპრების გენები გაიღვიძებს და ის საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ასე უხეშად არ დაუპირისპირდება“...

ანრი ოხანაშვილი:

ნაცები პარტიას ოლიგარქებს შორის ბრძოლის ველად იყენებენ!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ანრი ოხანაშვილის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარეობს ბრძოლა ფინანსებისა და გავლენებისთვის და პარტია ოლიგარქებს შორის ბრძოლის ველადაა ქცეული.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებს მიმოხილვა აღარ სჭირდება. ხელის გულზე დევს ის პროცესი, როგორ ხდება ოლიგარქებს შორის ბრძოლის ველად პარტიის გამოყენება. ეს არის ბრძოლა ფინანსებისთვის, გავლენებისთვის, რაც არ არის დემოკრატიული პროცესი, არავითარი კავშირი არ აქვს პარტიული კულტურის დემოკრატიულ განვითარებასთან.

ესაა ოლიგარქთა შორის ბრძოლა, ვის მეტი გავლენა ექნება, ვის მეტი ფინანსური რესურსი ექნება და შესაბამისად, სამწუხარო რეალობაა, როდესაც სიდიდით ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაში ხდება არა პოლიტიკური პარტიის კულტურის განვითარებაზე, არამედ ოლიგარქთა ძალაუფლების გადანაწილებაზე ზრუნვა“, — განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

სალომე ზურაბიშვილი:

ყველაფერი მართლმსაჯულებაზე გადის!..

12 რეკომენდაციაში მართლმსაჯულება და მისი რეფორმის ბოლომდე მიყვანა არის მთავარი, რადგან ეს არის საშუალება, გზა, რომ ჩვენ საბოლოდ გამოვიდეთ საბჭოთა სისტემიდან, სხვა გზა არ არსებობს.

„მართლმსაჯულების სახლის“ ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ყველაფერი, რასაც დემოკრატიას უწოდებენ, მართლმსაჯულებაზე გადის.

„მართლმსაჯულებიდან გამომდინარეობს შემდეგ ყველაფერი დანარჩენი — ადამიანის უფლებების, ბიზნესის დაცვა, ევროპული უსაფრთხოების სტანდარტების დადგენა, დისკრიმინაციის დაძლევა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მოსმენების აუცილებლობის ან არა აუცილებლობის დადგენა. მინდა ვთქვა, რომ ცოტა დამაკლდა თქვენი მხარდაჭერა, როდესაც ამ ძალიან არაევროპულ კანონს დავადე ვეტო.

ყველას არ ეხება, მაგრამ ნაწილს ეხება. ყველაფერი ის, რასაც ვეძახით დემოკრატიას, გადის მართლმსაჯულებაზე. თუ არ არის მართლმსაჯულება, მაშინ არაფერი არ არის და ვართ იმის თუ ამის ნებასა და გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. ამიტომ არის ეს სამუშაო ძალიან მნიშვნელოვანი და ამიტომ არის თქვენი რეკომენდაციები, რომელსაც დიდი ინტერესით მოვისმენ. ესოდენ მნიშვნელოვანი“, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს დეპოლარიზაციის დონე შემცირდეს. ასევე იგი აცხადებს, რომ ქვეყანაში საჭიროა ინსტიტუტების სიძლიერე.

„შეიძლება, დღეს სხვა ქვეყნებშიც არის არანაკლები პოლარიზაცია და ვუყურებთ ძლიერ, ნაკლებად ძლიერ ქვეყნებს, იქაც იგივე პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ ეს ქვეყნები უკვე არიან დემოკრატიულ სამყაროში და მათთვის არსებობს მთავარი დამცველი მექანიზმი, ეს არის ინსტიტუტების ძლიერება. არის ჯებირები, რაც

გიცავს ნებისმიერი პოლარიზაციისგან, რომ ის არ გადავიდეს სხვა რამეში, მაგრამ ჩვენ ეს არ გაგვაჩნია, არ გვაქვს არც ძლიერი ინსტიტუტები, არც ინსტიტუტების პატივისცემა და არც ის პრინციპები, რაც არის მართლმსაჯულება“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მართლმსაჯულება საქართველოსთვის უცხო არ არის და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანას აქვს პოტენციალი, ამ მხრივ წინსვლა ჰქონდეს.

„გავიხსენოთ მიხეილ მუსხელიშვილი, რომელმაც დაწერა პირველი ევროპული კონსტიტუცია. ის ფაქტი, რომ ქართველმა დაწერა პირველი კონსტიტუცია, ნიშანდობლივია და გვახსენებს, სად ვიყავით და სად ვართ ახლა. ახლა ვართ იმ პირველ ნაბიჯზე, ვითომც დღეს დავიბადეთ, გვეუბნებიან, აბა მოდით და იმუშავეთ ამ კუთხით, შეიძლება, რაღაცას მივაღწიოთ. ჩვენ იქ უნდა დავბრუნდეთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენში არის ამის პოტენციალი“, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ დასკვნა უნდა იყოს წარდგენილი სასამართლოში!

ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ დასკვნა უნდა იყოს წარდგენილი სასამართლოში და დიდი იმედი მაქვს, ამ შეთხვევაში სასამართლო იქნება მოწოდების სიმაღლეზე, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

...რაც შეეხება ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობას, მე არაერთხელ მითქვამს, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ყოველდღიურად დიდი ყურადღებით ვარ. მივიჩნევ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ქვეყნის რეპუტაციისა და ღირსებისთვის. ჩემი ადმინისტრაციის წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებიან სხვადასხვა კონსილიუმის, მათ შორის „ემპათიის“ წარმომადგენლებს. დღესაც არის ჩანიშნული ასეთი შეხვედრა. არაერთხელ მითქვამს საზღვარგარეთაც და დახურულ შეხვედრებზეც — არ ვარ ექსპერტი და არ მაქვს ინფორმაცია, რა დონეზეა დაზიანებული ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობა. დასკვნა უნდა დადონ, ვისაც ეს ევალება. სწორად მიმაჩნია, რომ დასკვნა წარდგენილი იყოს სასამართლოში და სასამართლომ უნდა მიიღოს ღირსეული გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტს ჯანმრთელობის საკითხს, თუ ამ დონეზეა დაზიანებული მისი ჯანმრთელობა და იმედი მაქვს, რომ ეს ასე არ არის. მეორე საკითხსაც გადაწყვეტს — სასამართლო მოგცემს გარანტიას, რომ არის დამოუკიდებელი, რაც იქნება ქვეყნისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი.

— თუ იქნება დასკვნა, რომ მიხეილ სააკაშვილი არის მართლა ძალიან ცუდად, მისი საზღვარგარეთ გადაყვანა მიგაჩნიათ თუ არა რეალურად. „ეს არის სწორი გზა. ჩვენი კანონმდებლობით სხვა გზა არ არსებობს, მაგრამ ეს ყველაფერი დამოკიდებულია კონსილიუმზე. მათი დასკვნა უნდა იყოს ძალიან მკაფიო და ეს უნდა იყოს ვექილების მიერ წარდგენილი სასამართლოში. დიდი იმედი მაქვს, ამ შეთხვევაში სასამართლო იქნება მოწოდების სიმაღლეზე“...

კელი დეგნანი აბსურდულ ტყუილებსაც კადრულობს!

„დეგნანის განცხადება, თითქოს უკრაინამ დეოლიგარქიზაციის კანონი ვენეციის კომისიიდან უკან გამოიწვია, აბსურდია, რადგან ეს კანონი საიტზე ისევ იძებნება“

დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით კიდევ უფრო მეტი კითხვები გაჩნდა, ვიდრე აქამდე არსებობდა. თუკი ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ ეს კანონი უკრაინას ვენეციის კომისიაში ჰქონდა გაგზავნილი, ამიტომაც საჭირო აღარ იყო საქართველოს იგი ვენეციის კომისიისთვის ხელმეორედ გაეგზავნა. მოულოდნელად კი ამერიკის ელჩი, კელი დეგნანი ამტკიცებს, რომ კანონი უკრაინელებმა უკან გამოიწვიეს. ამიტომაც ამერიკის ელჩიც და ევროკავშირის საელჩოც, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ კანონპროექტი ვენეციის კომისიაზე გააგზავნოს.

თუმცა აქ ასევე საინტერესოა ის გარემოება, რომ ვენეციის კომისიის საიტზე კანონი ისევ იძებნება და მისი უკან გაწვევის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს. უცნაურია ის გარემოებაც, რომ ვენეციის კომისია ჯერ კიდევ იანვარში აცხადებდა, დეოლიგარქიზაციის შესახებ უკრაინულ კანონზე დასკვნის პროექტი მზად არის და კომისიას დასამტკიცებლად მიმდინარე წლის მარტის სესიაზე უნდა წარდგენოდა. მაშ, რაშია ამ გაუგებრობის მთავარი დედააზრი და უკრაინელებისთვის მოწონებული კანონპროექტი „ქართული ოცნებისთვის“ დაწუნებული რატომ აღმოჩნდა?

ანალიტიკოსები ეჭვობენ, რომ ამ ყველაფრის უკან შესაძლოა, რადიკალური ოპოზიციის ინტერესები იდგეს, რომლებსაც ეს კანონი ბუმერანგივით უკან დაუბრუნდათ. საქმე ისაა, რომ უკრაინელებისთვის უკვე მოწონებულ კანონი ეხება არა **ბიძინა ივანიშვილს,** არამედ მათ მთავარ მფარველს და დამფინანსებელს, **დავით კეზერაშვილს,** რომელიც ქართულ პოლიტიკაში შემოსვლას აქტიურად ცდილობს და დასავლელი ლობისტების მეშვეობით ქვეყნის შიგნით გარკვეულ პოლიტიკურ აქტივობებს გეგმავს. ამიტომაც ჩნდება ეჭვი, რომ ელჩი კელი დეგნანის დახმარებით ამ კანონის ჩაგდება უნდათ.

პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** ამბობს, რომ მისმა კაბინეტმა უკვე მიმართა ვენეციის კომისიას იმის გასარკვევად, ამზადებს თუ არა ის დასკვნას დეოლიგარქიზაციის შესახებ უკრაინულ მოდელთან დაკავშირებით.

მმართველი პარტიის მიერ მომზადებული კანონპროექტი პარლამენტმა 2 მოსმენით უკვე მიიღო. კანონის საბოლოო მიღებამდე კი სამართლებრივ დასკვნას ელოდება ევროკავშირიც. ამის შესახებ გუშინ ევროკავშირის წარმომადგენლობამ განცხადებაც გაავრცელა.

დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღება საქართველოს ევროკომისიის 12 რეკომენდაციის ფარგლებში დაევალა. მმართველი ძალა კანონის მიღებას დეკემბრისთვის გეგმავს.

უკრაინული კანონის და ქართული ვერსიის გამიჯვნა ოპოზიციის ნაწილმა დღეს კიდევ ერთხელ მოითხოვა. ხელისუფლების ოპონენტები მმართველ პარტიას მოუწოდებენ, მის მიერ მომზადებული დოკუმენტი ვენეციის კომისიას გადაუგზავნოს, წინაალმდეგ შემთხვევაში, სტატუსის მიღება ხელოვნურად ფერხდება.

როგორც ცნობილია, ოპოზიციის ნაწილმა, ევროკომისიის რეკომენდაციის შესასრულებლად, დეოლიგარქიზაციის ალტერნატიული კანონპროექტი მოამზადა და ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ ორივე კანონპროექტის ვენეციის კომისიისთვის გაგზავნას ითხოვს.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** აცხადებს, რომ რადიკალური ოპოზიცია ყოველდღიურად ცდილობს, რომ პარლამენტში, სხვადასხვა საჯარო სივრცეში და მედიაში დაპირისპირების მუხტი შეიტანოს, გააჩინოს განცდა, რომ ხელისუფლება 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად არაფერს აკეთებს, ან თუ აკეთებს – არასწორად. სწორედ ეს ხდება დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით. ნაცოპოზიციის მთავარი მიზანია, არა ამ კანონის მიღება და რეკომენდაციის შესრულება, არამედ ის, რომ ეს კანონი ერთ ადამიანზე, ბიძინა ივანიშვილზე იყოს მორგებული. ამით კი თავიანთი დამფინანსებელი დავით კეზერაშვილი დაიცვან, რადგან უკრაინული მოდელის 4-ვე პუნქტი ზუსტად მას ეხება.

„ამერიკის ელჩი, კელი დეგნანი აკეთებს იმგვარ განცხადებას, რომელიც საზოგადოების ინტერესს არ შეესაბამება. მოსახლეობის უმრავლესობის აღქმებში მისი განცხადება არ ჯდება. ეს კი პირველად არ ხდება. დეგნანის განცხადება არის არაადეკვატური, რომელიც ქართველ ხალხს აღიზიანებს. რაც შეეხება კანონპროექტს, რომელზეც ელჩი საუბრობს და ამბობს, რომ ვენეციის კომისიიდან უკრაინამ გამოიწვია, აბსურდია, რადგან ეს კანონი საიტზე ისევ იძებნება. საქართველომ უკრაინული მოდელი იმიტომ გადმოიღო, რომ ევროპელებისგან მოწონებული იყო და ზუსტად მსგავსი მოთხოვნა იყო.

მე კარგად მახსოვს ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა უკრაინას ანალოგიური კანონის მიღება მიულოცა. მოუწონა და უთხრა, რომ ეს კანონი შეესაბამებოდა იმ სტანდარტებს, რაც ევროპელებს უნდოდათ. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ შეიძლება იგივე ევროპელების მოწონებული კანონი ჩვენთან არ მოსწონდეთ. მშვენივრად იციან ევროპელებმა, როგორი დათქმები და პირობები არის უკრაინულ ვერსიაში და ზუსტად შესაბამისია ქართულ ვერსიაშიც. ხელახლა ველოსიპედის გამოგონება ნამდვილად უაზრობა არის“, – ამბობს აბაშიძე.

რას შეიძლება ამერიკის ელჩის ეს განცხადება ემსახურებოდეს, თუკი ვენეციის საიტზე უკრაინული კანონი ისევ იძებნება? – აბაშიძე ამბობს, რომ **ჩნდება ეჭვი, ამერიკის ელჩი ოპოზიციის დახმარებას ცდილობს, რადგანაც სწორედ ეს კანონი მათ მფარველს კეზერაშვილს ეხება. ამიტომაც ყველანაირად ცდილობენ კანონის დაბლოკვა მოხდეს.**

„რადგან ოპოზიციას უმრავლესობა არ ყავს პარლამენტში, ახლა ცდილობენ, რომ საგარეო ზეწოლის მცდელობით და ბერკეტებით, „ოცნება“ აიძულონ, რომ ამ კანონის მიღება შეაჩერონ. თუმცა ეს არ გამოუვათ. ეს კანონი ევროკომისიის უმაღლესი სტრუქტურის მიერ არის მოწონებული და სხვა გამოსავალი არ აქვთ. სამწუხაროდ, დეგნანის განცხადებები „ნაციონალური მოძრაობის“ დღის წესრიგს შეესაბამება. უპირველეს ყოვლისა, ეს დიპლომატ დეგნანის იმიჯისთვის არის ძალიან ცუდი. მთელ ცივილიზებულ სამყაროში კანონებს ისე იღებენ, რომ ის ერთ კონკრეტულ ადამიანზე ვერ იქნება მორგებული.

აქ უნდა იყოს გარკვეული კრიტერიუმები და პირობები მოცემული, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც განისაზღვრებას ეს კანონი ვის შეეხება. ამ კანონის დათქმები რაც 4-ვე პუნქტშია განსაზღვრული, დავით კეზერაშვილს ეხება. ოპოზიცია ცდილობს კანონპროექტი დაბლოკოს და ამაში ამერიკის ელჩს იყენებს. არ არის გამორიცხული, ხვალ და ზეგ, რომელიმე ევოპარლამენტარი კანონის მოწინააღმდეგე აღმოჩნდეს“, – ამბობს გია აბაშიძე.

ანალიტიკოსი და მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი **ზურაბ ქადაგიძე** კი აცხადებს, რომ დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით პოლიტიკური ელფერი ხელოვნურად არის შექმნილი. ქადაგიძე ამბობს, რომ კელი დეგნანის განცხადება ობიექტურობისგან საერთოდ დაცლილია, ხოლო ეს კანონპროექტი ზოგიერთ ადამიანზე დამოკლეს მახვილი აღმოჩნდა და ოპოზიცია სწორედ ამ ადამიანის გადარჩენას ცდილობს.

„ახლა, მთელი ეს რადიკალური დაჯგუფება, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთავარი ძირის გამომთხრელია, კელი დეგნანთან ერთად ცდილობს, რომ რიგითი კეზერაშვილის გადასარჩენად სპეცოპერაცია ჩაატარონ. ამ კანონის ჩაგდებისთვის და გაფუჭებისთვის დაიწყეს ელჩების და ევროპარლამენტარების გამოყენება. რამენაირად ცდილობენ, რომ ეს კანონი ტენდენციურ გადაწყვეტილებად გამოაჩინონ. ვითომ ხელისუფლება მის მორგებას ვიღაცაზე ცდილობს. არადა რეალურად ამ კანონის პრეისტორია რომ გავიხსენოთ, უკრაინამ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, რადგანაც ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასეთი კანონი მოქმედებს. ეს ევროპამ უკრაინას უკვე მოუწონა და ამიტომაც ჩვენმა ხელისუფლებამ სწორედ მისი ანალოგის მიღება გადაწყვიტა.

რადგან ეს არის პრეცედენტული კანონი და ამ კანონმა მოქმედება უკვე უკრაინაშიც დაიწყო, „ოცნებისგან“ სწორედ ამიტომ მიენიჭა პრიორიტეტი. ხოლო, როდესაც ეს კანონი უკვე გაიწერა და აღმოაჩინა ყველამ, რომ ე.წ. დეოლიგარქიზაციის კანონს რადიკალური ოპოზიციისთვის რეალური შედეგი არ მოჰქონდა და პირიქით, მათ მფარველს ეხებოდა, ამიტომ პროცესის გაფუჭება დაიწყეს. ოპოზიციას ეს კანონპროექტი პირიქით შემოუბრუნდა და აღმოჩნდა, რომ კანონის მიხედვით, საქართველოს ბიუჯეტის ქურდები დაისჯებოდნენ.

ამიტომაც პროცესის ჩაგდების მცდელობა დაიწყო. ვენეციის კომისიასთან დაკავშირებით იმაზე მეცინება, რომ საქართველოში მყოფი ამერიკის ელჩი კელი დეგნანი რატომ არის დაინტერესებული უკრაინის და ვენეციის კომისიის ურთიერთობაში? ანუ გამოდის, მან ყველას დაასწრო და კანონის უკან გამოწვევის ამბავი გვამცნო?“, – ამბობს ქადაგიძე.

ლიკა ბერიკაშვილი



საქართველოს ხელისუფლების „უკრაინული თავსატეხი“

გასულ კვირას პარლამენტში პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პირველად ოფიციალურად გააჟღერა „ქართული ოცნების“ ახალი პოლიტიკური ხელწერა დასავლელ პარტნიორებთან დაკავშირებით. **„დამთავრდა ის დრო, როცა ჩვენ უნდა შევასრულოთ ქვეყნისთვის საზიანო დირექტივები. ჩვენ ყველას მოვუსმენთ, მაგრამ რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ხალხს იმას გავაკეთებთ“.** ამით „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას სრულიად დასაშვებად მიაჩნია პარტნიორებთან (აშშ და ევროკავშირი) განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები. აქამდე ამის ასე მკაფიოდ ხაზგასმა ვერ ბედავდნენ!

„ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, რომ სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობები მთელ რიგ საკითხში ჯანსაღ „გადატვირთვას“ საჭიროებს. საქართველო და მისი ხელისუფლება ცდილობს, რომ დასავლელი სტრატეგიული პარტნიორები თამაშის ახალ, მისი აზრით უფრო სამართლიან წესებზე დაითანხმოს, რათა ეს ურთიერთობები აშკარა ეროზიისგან გადავარჩინოთ. თუმცა, რთული სათქმელია ამ კუთხით რამდენად კარგად და სწორად ესმით ერთმანეთის საქართველოს და დასავლეთს.

უკრაინაში ომის დაწყებამ მნიშვნელოვნად დაძაბა ისედაც დაძაბული ურთიერთობები ოფიციალურ კიევთან. პარალელურად დაიძაბა ურთიერთობები დასავლელ პარტნიორებთანაც.

იხ. 4 გვ.

კრამერი ივანიშვილის წინააღმდეგ

ბიძინა ივანიშვილზე, როგორც „ოლიგარქზე“ და „რუსეთის ინტერესების გამტარებელზე“, 29 ნოემბერს, ბრიუსელში კონფერენციაზე იმსჯელებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები. მათ შორის არის ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი და ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი, რომელიც ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ წევრებზე სანქციების დაწესებას ითხოვს.

კრამერი ამბობს, რომ სანქციების გარეშე საქართველო არასწორი მიმართულებით მიდის. შესაბამისად, მიაჩნია, რომ მიზანმიმართული სანქციები არის შესაძლებლობა მოხდეს იმის დემონსტრირება, რომ აუცილებლად მოჰყვება შესაბამისი სასჯელი, შესაბამისი საფასური ქართული მთავრობის მიერ ამჟამინდელი ქცევის გაგრძელებას.

„მე მინდა ძალიან კარგად განვმარტო, თუ რას ვგულისხმობ. მე არ ვგულისხმობ სანქციებს ქართველი ხალხზე, მე არ ვგულისხმობ სანქციებს სახელმწიფოზე. მე ამ შემთხვევაში ვგულისხმობ კონკრეტულ, მიზანმიმართულ, ინდივიდუალურ სანქციებს ინდივიდების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს არასწორი მიმართულებით მიუძღვებიან. ეს დაიწყება ბატონი ივანიშვილისგან, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ არ აკისრია ოფიციალური როლი მთავრობაში ან პარტიაში, არის ის ადამიანი, რომელიც რეალურად აკონტროლებს ამ პროცესებს და ის ადამიანები, რომლებიც ასრულებენ მის ბრძანებებს, მათაც უნდა შეეხოთ სანქციები. თუმცა ნამდვილად დავიწყებდი ამ ყველაფერს ივანიშვილით“, – აცხადებს დევიდ კრამერი.

კრამერის სკანდალურ განცხადებაზე კომენტარის გაკეთების სურვილი არ აქვს **კელი დეგნანს,** თუმცა ამბობს, რომ ის არის ადამიანი, რომელიც ნამდვილად ზრუნავს საქართველოზე.

„დევიდ კრამერი არის კერძო პირი, რომელიც აკადემიურ წრეებში ძალიან დაფასებულია. ეს არის ადამიანი, რომელიც საქართველოს კარგად იცნობს, ზრუნავს, აწუხებს მისი ბედი და მე არ მინდა, კომენტარი გავაკეთო მის კომენტარებზე, თუმცა ვიტყვი, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც ნამდვილად ზრუნავს და აინტერესებს საქართველოს წარმატება“, – განაცხადა აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა.

მმართველი გუნდის შეფასებით, დევიდ კრამერის განცხადება არის იმ ჰიბრიდული ომის გაგრძელება, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, ეს არის პირდაპირი თავდასხმა ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებაზე. **შალვა პაპუაშვილის** თქმით, თუ დავაკვირდებით ქართულ რეალობაში როგორ წარმოიშვა ტერმინი „ოლიგარქია“, მივხვდებით, რომ ეს ყველაფერი საბოლოოდ მიმართული იყო იქით, რომ განხორციელებულიყო თავდასხმა საქართველოს ხელისუფლებაზე.

„ის, ვინც თავს ესხმის საქართველოს ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, ვერ იქნება ქართველი ხალხის მეგობარი, ეს არის აქსიომა, შესაბამისად, ასე უნდა შევხედოთ მთელ მდგომარეობას. რომ დავაკვირდეთ ქართულ სინამდვილეში როგორ წარმოიშვა ტერმინი „ოლიგარქია“, როგორ განვითარდა, რა ინტერესი იდგა ამის უკან, ვნახავთ, რომ უნდა მომხდარიყო გარკვეული „კლიშირება“ ამა თუ იმ ადამიანისა, რადგან, საბოლოოდ, განხორციელებულიყო თავდასხმა საქართველოს ხელისუფლებაზე“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

პაპუაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების დასუსტების მცდელობის უკან ოპოზიციის რადიკალური ნაწილი და მათი მხარდამჭერები დგანან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. მისი თქმით, საქართველოს ევროპული მომავალი მძევლად ჰყავთ აყვანილი და ცდილობენ, მძევლად აყვანის სანაცვლოდ გამოიავჭრონ საქართველოს ხელისუფლების დასუსტება.

„ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას გარშემო უარეს, რომ რამენაირად, დემოკრატიის გვერდის ავლით ჩაენაცვლებინათ, მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ მათ უკვე ცხრაჯერ უთხრა უარი იმ ავტორიტარული რეჟიმის გამო, რომელიც მათ დამკვიდრებული ჰქონდათ, ესაა რეალური მიზეზები. იქნება ოლიგარქია, სახელმწიფოს მიტაცება, თუ სხვა ტერმინები, ამ ჯგუფებმა შემოიტანეს საქართველოში, რათა მოეხდინათ ქვეყნის დისკრედიტაცია და არადემოკრატიული გზით ხელისუფლების ცვლილებაზე გავლენა“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერისთვის გაუგებარია, რომელი პოზიციიდან უკან დახევაზე საუბრობს დევიდ კრამერი. როგორც გია ვოლსკი აცხადებს, **სერგო თეთრაძე** წამებაში მოკლეს, რაც ერთი შემთხვევა არ არის და საინტერესოა, ნუთუ არ იცის დევიდ კრამერმა, რომ ასეთი ასობით შემთხვევა იყო საქართველოში?! ვიცე-სპიკერის განმარტებით, ასეთი სამაგალითო, ერთგული დასაყრდენი, როგორიც საქართველოა, აშშ-ს და დასავლურ სამყაროს არ ჰყავს ამ რეგიონში და თუნდაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

„ჩვენი მეგობრობა არ არის განპირობებული რაღაც პრინციპიაობით და პოლიტიკური კეკლუცობით. ჩვენ ერთად გვიომია და კიდევ დავდგებით ერთად, როდესაც საქმე გლობალურ უსაფრთხოებას ეხება. კრამერის პოზიცია ვიცით. ის არის ამერიკული გვარით ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ლიდერი თუ არა, წევრია რადიკალური ოპოზიციისა. კრამერმა რადგან თქვა, ჩვენ თავი უნდა დავხაროთ და ვთქვათ, რომ დემოკრატიის უკუსვლაა? დღეს სერგო თეთრაძეზე იყო საუბარი. სულ არ უნდოდა იმ კონკრეტულ ადამიანს, რომ შეეყვანათ და დამიზნებულად, დავალების მიხედვით ემოქმედა სადამსჯელო ჯგუფს, კონკრეტული გვარებიც ვიცით, უსასტიკესად ეწამებინათ და წამებაში მოეკლათ. ეს ერთი შემთხვევა ხომ არ არის? ნუთუ არ იცის კრამერმა, რომ ასეთი ასობით შემთხვევა იყო? საიდან დავიხიეთ უკან? მანდ ჩამოვედით ისევ? თუ მაგ მდგომარეობიდან დავიხიეთ უკან?“, – დასძინა გია ვოლსკიმ.

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, ესენი არიან „ნაცმოძრაობის“ ლობისტები, მათთან აფილირებული საერთაშორისო მხარდამჭერები, რომლებიც, უბრალოდ თავის პარტიას, რომელთანაც გააჩნიათ ლობის განხორციელების შესაბამისი ხელშეკრულება და შესაბამისი დაფინანსება ვალდებულნი არიან თავისი საქმე გააკეთონ, ანუ გააკეთონ ის, რასაც აკეთებენ – მიაღებინონ ანტიქართული რეზოლუცია, მაგრამ საბოლოო ჯამში, ამას არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

„ამერიკის ნებისმიერ ქალაქში 10 ამერიკელი გავაჩეროთ და დავუსვათ კითხვა – ვინ არის დევიდ კრამერი? დარწმუნებული ვარ, რომ პასუხი იქნება აბსოლუტურად ნული. ჩვენ იგივე გზას მივყვებით, როდესაც გვავიწყდება, რომ 705 ევროპარლამენტარისგან შედგება ევროპული პარლამენტი. მაგრამ, ჩვენ ვიცით 5 და მაქსიმუმ 7 ევროპარლამენტარის სახელი და გვარი.

„სახალხო პარტია“, ან კუბილიუსი, ფოტიგა, კრამერი თუ გადამდგარი იან კელი, რომელთა სახელი და გვარი ამერიკაში არავისთვის არ არის ცნობილი, ზუსტად იგივე საქმიანობით არიან დაკავებულნი, რომლითაც დაკავდა შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, მიშა სააკაშვილის ახლო მეგობარი, **კარლ ბილტი,** რომელმაც პენსიაზე გასვლის შემდეგ პიარკომპანია შექმნა და მთლიანად ემსახურებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ინტერესებს“...

ეს ჯგუფი ქმნის აჟიოტაჟს, რომელიც მოქმედებს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე და ექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ლობისტური კომპანიები თავისას მიაღწევენ.

„ვერაფერსაც ვერ მიაღწევენ იმიტომ, რომ პოლიტიკას მართავენ პრაგმატული ადამიანები, რომლებმაც ძალიან კარგად იციან რა პროცენტიანი რეიტინგი აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და დანარჩენ მათ განშტობებზე საერთოდ არ ვამბობ. ძალიან კარგად იციან, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ამ ხელისუფლებას და ძალიან კარგად იციან, რომ იმ სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სატრანზიტო ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია პატარა საქართველო, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით, ტოკიოდან ლისაბონამდეა გაჭიმული და მანდ რომ რამე მოხდეს, ომი, პოლიტიკური გადატრიალება, ან არასტაბილური პოლიტიკური გარემო შეიქმნას, მაშინვე ეს რგოლი ამოვარდება ამ ჯაჭვიდან და ვერ იმუშავებს.

ამიტომ მსოფლიოს პრაგმატული, პოლიტიკური არჩევანი აქვს გასაკეთებელი ასეთ საქართველოსთან მეგობრობასა და აი, ამ ჯაჭვის გაწყვეტას შორის. მე არ მგონია, რომ ეს ვინმეს ჰქონდეს დღის წესრიგში. კრამერებს, კუბილიუსებს, ფოტიგას, იან კელის ამოძრავებთ მხოლოდ ფული. მათი მიზანია ნებისმიერ გზით მიაღწიონ არეულობას ამ ქვეყანაში, რათა თავისი ფავორიტები დააბრუნონ ხელისუფლებაში. აი, ამ ყველაფერს ცოტა უფრო მეტი სჭირდება, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პოლიტიკური ნება, რომ ასე მოხდეს, არ არსებობს“, – ამბობს დავით ქართველიშვილი.

თამთა ძარჩავა

საქართველოს ხელისუფლების „უკრაინული თავსატეხი“

(მესამე გვერდიდან)

დეტალების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ისინი საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილია. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, შევეცადოთ განვჭვრიტოთ უკრაინაში ომის ფონზე როგორ განვითარდება მოვლენები პრემიერ-მინისტრის ამ ნიშანდობლივი განცხადების შემდეგ, რომელიც უეჭველია დასავლურ და უკრაინულ აუდიტორიაზეც იყო გათვლილი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იქიდან აუცილებლად იქნება ამაზე რეაგირება, რადგანაც ამ „სიახლეს“ სტრატეგიულ მოკავშირედ მიჩნეული ქვეყნის ხელისუფლებისგან დასავლეთი, როგორც ჩანს, არ ელოდა. ამ მხრივ უკრაინაში მიმდინარე პროცესები ნამდვილად შეიძლება აღმოჩნდეს ერთგვარი „ლაკმუსის ქაღალდი“.

დასავლეთიდან საქართველოს ხელისუფლების მისამართით სხვადასხვა ტრიბუნებიდან, ღია თუ დახურული არხებით, მუდმივად ისმის მოწოდებები, რომ საქართველოს ხელისუფლება იყოს უფრო აქტიური უკრაინისადმი დახმარებაში, სრულად შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს და მკაფიოდ აჩვენოს, რომ დასავლეთისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ომში საქართველო დასავლეთის მხარეს დგას. ე.წ. „მეორე ფრონტის“ გახსნაც, რომლის ირგვლივაც ამდენი შუბი დაიმტვრა, ამ კონტექსტში ჯდება. იმედია, მოეფინება საბოლოო ნათელი ამ საკითხსაც.

თავად განსაჯეთ, უკრაინის ომში თამასა სულ უფრო მაღლა იწევს. კოლექტიური დასავლეთი მისი ლიდერების პირით აცხადებს, რომ რუსეთმა ეს ომი არ უნდა მოიგოს, რომ უკრაინას დაეხმარება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა გამარჯვებისთვის, რომ რუსეთის გამარჯვება ეს NATO-ს დამარცხებაა და ა.შ. შესაბამისად, ყველაფერი, რაც მოემსახურება ამ მიზანს, საჭირო და მისასალმებელია.

ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური კიევის (რომელიც დასავლეთის გარეშეც ნაბიჯსაც არ დგამს) მიერ მოთხოვნილი „მეორე ფრონტი“ საქართველოში, რომელიც გარკვეული ხნით დააკავებდა უკრაინაში გადასასროლ რუსეთის სამხედრო ძალებს, გაფანტავდა და გამოფიტავდა მის რესურსებს, ძალიან კარგად ჯდება დიად მიზანში – დაეხმარონ უკრაინას, რაც შეიძლება მალე გაიმარჯვოს.

სავარაუდოდ, სწორედ ამ საკითხზე წარმოიშვა ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა „ქართულ ოცნებასა“ და დასავლეთს შორის და ბუნებრივია, ორივე მხარე ამაზე საჯაროდ საუბარს ერიდება – ძალიან მგრძნობიარეა თემა და მასში ბევრი გავლენიანი მოთამაშე ფიგურირებს. ეს წინააღმდეგობა შემდეგ უკვე პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა და მისი ერთ-ერთი გამოვლინება იყო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე უარი. „დემოკრატიის უკუსვლა“ კი მხოლოდ შირმა იყო რეალური მიზეზების შესაფუთად.

თავად უკრაინის ფრონტზე კი მოვლენები წინააღმდეგობრივად ვითარდება. კრემლი, რომელსაც უკრაინული „ბლიცკრიგი“ ჩაეშალა, ახლა გამწარებული ცდილობს დიდი რიხით გამოცხადებული „სპეცოპერაციის“ პოლიტიკური მიზნები შესაბამისობაში მოიყვანოს რუსეთის რეალურ სამხედრო და ეკონომიკურ შესაძლებლობებთან. შესაბამისად, მას ჰაერივით ესაჭიროება ამ ომში პაუზა. რამდენად მზად არის NATO მისცეს რუსეთს ასეთი პაუზა და ძალების მოკრების საშუალება? თუკი NATO-ს სურს ამ ომში საკუთარი და უკრაინის გამარჯვება უზრუნველყოს, მან ასეთი პაუზის საშუალება რუსეთს არ უნდა მისცეს. ხოლო თუ დასუსტებულ რუსეთს უკრაინის გარდა კიდევ სხვა ფრონტზეც მოუწია ბრძოლა, გამარჯვება კიდევ უფრო ახლოს იქნება, საქართველო კი გამოცხადდება ამ გამარჯვების მნიშვნელოვან კონტრიბუტორად. თუმცა, კითხვაა – რის ფასად?

დასავლეთში შესაძლოა მართლა გულწრფელად არ ესმით, თუ როგორ შეიძლება სტრატეგიულმა მოკავშირე საქართველომ, რომელსაც ისინი ყველანაირად ეხმარებიან, ასეთ კრიტიკულ მომენტში უარი უთხრას ხელშეწყობაზე. ალბათ, ესეც არის ურთიერთობების გაცივების ერთ ერთი მიზეზი და მოტივაცია, თუ რატომ შეიძლება სურდეს დასავლეთს აქ ხელისუფლების შეცვლა. ამის მცდელობა ხომ ვიხილეთ რამდენიმე თვის წინ.

ამიტომაც, პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც კი ნათელია, თუ რა დიდ გავლენას იქონიებს საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე უკრაინაში ომის შედეგები. თუ ამ ომში უკრაინამ გაიმარჯვა, ის გახდება პოსტსაბჭოთა სივრცეზე ახალი „მაყურებელი“ და როგორც არესტოვიჩი ამბობდა, დაიწყებს (დასავლეთის ხელშეწყობით) ე.წ. „სტაბილიზაციის ოპერაციებს“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ეჭვგარეშეა, რომ პირველი სამიზნე სწორედ საქართველო იქნება, სადაც ხელისუფლების ცვლილება ოფიციალური კიევის დაუფარავი სურვილია. თუ რა პროცესებს გამოიწვევს ეს საქართველოში, ალბათ, დიდი მსჯელობა არ სჭირდება. გარედან დამყარებულ წესრიგს ჩვენი საზოგადოება მორჩილებით არ მიიღებს.

რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში – დავუშვათ ეს ალბათობაც – საქართველო ასევე აღმოჩნდება სამიზნე და ხელისუფლების ჩანაცვლება რუსეთის ლოიალური რეჟიმით, უბრალოდ, გარდაუვალი იქნება, გამომდინარე შედეგებით.

საკმაოდ პესიმისტური პროგნოზია, და ჯერჯერობით უცნობია, რამდენად ეყოფა ხელისუფლებას რესურსები და ხალხის მხარდაჭერა, გაუძლოს დარტყმებს და გამოწვევებს.

ზაალ ანჯაფარიძე

კულტურა არ ყვირის, არ იგინება, მაგრამ მას უდიდესი ძალა აქვს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
გატონ **ირ. ღარიბაშვილს**
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ **თ. წულუკიანს.**
ქ. თბილისის მერს, გატონ **კ. კალაძეს**

გატონო ირაკლი! ქალბატონო თეა! გატონო კახა!

მოგმართავთ ორი მნიშვნელოვანი ეროვნული პროგლემის თაობაზე, რომლის მოგვარებას გადაუდებელ აუცილებლობად ვთვლი.

არლინგტონის ჯარისკაცთა სასაფლაო. ფრაგმენტი

1. მინი-არლინგტონი მახათაზე

საზოგადოების ერთი ნაწილის აქტიურმა მცდელობამ, ათეულებით პუბლიკაციამ, მიმართვებმა დიდუბის პანთეონის კიდევ ერთხელ გაფართოების თაობაზე, დააჩქარა მახათას მთაზე ახალი პანთეონის, დიდი ხნის წინანდელი იდეის რეალიზაცია.

მერიამ (დ. ნარმანიას პერიოდი), უმოკლეს ვადებში მოახდინა მახათას მთაზე პანთეონის დაპროექტება, ტერიტორიის დაკვალვა, ბილიკების მოშანდაკება. პანთეონის პირველი რიგი 440 საფლავს ითვალისწინებს. საკმაოდ დიდი, „პერსპექტიული ტერიტორიაა“ დამაგრებული პანთეონზე.

დღეს პანთეონში განისვენებს 71 ადამიანი.

ამ „შესავლის“ შემდეგ, მსურს გაგაცნოთ ის აზსურდი და საააზროვნო ინფანტილიზმი, რომელიც ასამარებს „პანთეონის“ მაღალ მისიას, მის განსაკუთრებულობას.

საკითხი ეხება საფლავების ტიპურობას და დასაფლავების არაჰუმანურ, არაქრისტიანულ წესს, რაც მეუღლეების შესაძლო დაშორებაში გამოიხატა.

ამ საკითხზე არსებობს მოსაზრება: მთაწმინდაზეც ხომ ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეები ცალკე განისვენებენ. ეს არასწორი მოტივაციაა. **პირველი,** პრაქტიკულად ეს ასე არ არის, **მეორე,** ეს იყო ბოლშევიკების „წესი“, რომელთაც მეუღლეებთან ერთად „გამოჩენა“ ეკრძალებოდათ. იმ პერიოდში ეს „წესი“ მექანიკურად გავრცელდა მთაწმინდაზეც. მას შემდეგ მთელი საუკუნეა, ბევრი რამ შეიცვალა.

ლირიკული გადახვევა. ბატონო ირაკლი, ბატონო კახა! არჩევნებზე გამარჯვების ზეიმზე, თქვენ მეუღლესთან ერთად მობრძანდით. ეს სასიამოვნო სიახლე იყო და მაგალითი ოჯახისადმი პატივისცემისა.

მრავალი, თავიდან ჩვეულებრივი სასაფლაო, არა მხოლოდ იქ დასაფლავებულთა სიდიდემ, არამედ **საფლავების არქიტექტურამ,** პანთეონის სტატუსამდე აამაღლა. რაღა შორს წავიდეთ, ასე იქცა საქართველოს სამი – მთაწმინდა, დიდუბე და ხოჯევანქი (სომეხ მოღვაწეთა სავანე) სასაფლაოდან პანთეონებად. ერთადერთი გამონაკლისი მახათაა, რომელიც თავიდანვე „პანთეონად“ იქნა სახელდებული. მაგრამ, „პანთეონად“ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე დაკრძალვა სულაც არ არის საკმარისი, რომ ის იყოს ერის „გამოჩენილ მოღვაწეთა სავანე“!მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ რაღაც დაუწერელი კანონით, უფრო სწორად, ვიღაც გაუნათლებლის, ისტორიის არმცოდნე ტვინის ხუშტურით, საფლავები უნდა იყოს ტიპური, ერთფეროვანი, რაც ძირშივე კლავს „პანთეონის“ განსაკუთრებულობას და კულტურის ფენომენის არსს. დაკვირდით ფოტოებს, მახათა ჯერჯერობით არლინგტონის ჯარისკაცთა სასაფლაოს ჩვილია, რომელიც, 20-30 წლის შემდეგ არლინგტონის ფრაგმენტი იქნება, რა თქმა უნდა, თუ გონს არ მოვეგებით და ეს აზსურდი გაგრძელდება.

მეორე, ასევე, ტრადიციასთან შეუსაბამო, არაჰუმანური, არაქრისტიანული მოთხოვნაა (არც ამაზე არსებობს რამე ოფიციალური დადგენილება) მეუღლეების ერთად დაკრძალვის აკრძალვაა, თუ რომელიმე მათგანი არ აკმაყოფილებს „მოღვაწის“ სტატუსს.

და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ოჯახი უწმინდესი ფენომენია და არსებობენ სიტყვები **- „მეუღლე“ და „თანამეცხედრე“. მეუღლეთა შესაძლო განცალკევება გახლავთ მიზეზი იმისა, რომ მრავალმა ჭირისუფალმა უარი თქვა მახათაზე.**

ჩემს გაკვირვებას იწვევს ამ გაუგებრობაზე საქართველოს საპატრიარქოს, სინოდის წაყრუება.

ზემოთ „კულტურის ფენომენი“ ვახსენე.

დიახ, პანთეონები მთელს მსოფლიოში კულტურისა და ხელოვნების უნიკალური კერებია, მე მათ არ ჩამოვთვლი, ვერც ჩამოვთვლი, ვინაიდან ყველა ქვეყანას, ქალაქსაც აქვთ წმინდა სავანეები. განა მთაწმინდაზე ადამიანები არ ადიან ნინო ჭავჭავაძის და ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავის, დიდი ილიას „მწუხარე საქართველოს“, ვაჟა ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის საფლავების, აკაკი ხორავას, გალაქტიონის, სიმონ ჯანაშიას, იაკობ ნიკოლაძის, კოტე მარჯანიშვილის და სხვათა უნიკალური ბიუსტების სანახავად? არა ერთი საფლავი – შედევრია დიდუბის პანთეონში. ისინი ქართველი არქიტექტორების და მოქანდაკეების საინტერესო ნამუშევრებია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ეს ბიუსტები და საფლავები არ არსებობენ, ხომ გაღარიბდება ერის სულიერი სამყარო!..

ვეკითხები თბილისის მერიის მოხელეებს, რომელმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ, რეფერენდუმმა, მოგანიჭათ უფლება, პანთეონი აქციოთ რიგით სასაფლაოდ და დააშოროთ „თანამეცხედრეები“?

მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა საფლავი მთაწმინდაზე, დიდუბის და ხოჯევანქის პანთეონებში ხელოვნების დიდი ნაწარმოებია. არის და არც ისე ცოტაა, უგემოვნო, კონტექსტიდან ამოვარდნილი საფლავებიც, რას ვიზამთ, ასეა მთელს მსოფლიოში, ამ საკითხში ოჯახის ნება არსებითია, რაც დიდად განსაზღვრავს მათ უსახურობას.

საფლავთა ტიპურობაში, ალბათ, გარკვეული როლი ითამაშა ფინანსურმა საკითხმა, რაც სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, ვინაიდან განსხვავებული საფლავები განსხვავებულ ფინანსებს ითხოვენ, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, მერიას ტიპურობის ნაცვლად, უფრო გონივრული გადაწყვეტილების მიღება – დაეწესებინა მერიას დახმარების ერთიანი საზომი (თანხა), რომლის ზემოთ ხარჯებს ოჯახი გაიღებდა, არც ის იქნება ოჯახის ნების შეზღუდვა, თუ კი საფლავის პროექტები არქიტექტორთა და მხატვართა კომისიამ განიხილოს, იქნებ „ქართული მიწის“ ეკონომიასთან გვაქვს საქმე? რა თქმა უნდა, არა. დაბადებიდან ჩვენი წილი „ქართული მიწა“ ღმერთმა ყველას გვარგუნა.

მახათას პანთეონის ფრაგმენტი

იქნებ, ამ ტიპურ თეთრ ფილებს, ჯობია პანთეონის შესასვლელში დავკიდოთ დანომრილი ფირნიში დაკრძალულთა სახელების აღნიშვნით? ეს გაცილებით იაფი იქნება.

2. ისევ და ისევ დიდი დავით აღმაშენებლის უპატივცემლობის შესახებ

მეორე. 2005 წლის ნოემბერში, საზოგადოების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თბილისის მერიამ, დავით აღმაშენებლის ძეგლი რესპუბლიკის მოედნიდან დიღმის ტრასაზე „გააძევა“. ძეგლის ახალი ადგილი, პიედესტალის ფორმა, ზომები არ შეუთანხმებიათ ავტორთან, ბატონ მერაბ ბერძენიშვილთან, რაც საავტორო უფლებებისა და ეთიკური ნორმების უპრეცედენტო დარღვევა იყო.

„ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე, თბილისელები, კულტურისა და აკადემიური სფეროს მოღვაწეები, თბილისის საპატიო მოქალაქეები, ვეტერანები, მიმართვებით, პუბლიკაციებით, შეკრებებით, ტელეგადაცემებით ცდილობდნენ ამ ვანდალური აქტის გამოსწორებას. სამწუხაროდ, ათწლიან მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

კაცობრიობა, ათასწლეულების მანძილზე, ისტორიულ მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანთა ღვაწლს, მონუმენტებითა და მემორიალებით აღნიშნავს. დიდმა ხუროთმოძღვრებმა და მოქანდაკეებმა ჩამოაყალიბეს მონუმენტისა და ურბანული გარემოს სიმბოლოზის მყარი კანონები და წესები. ამ სიმბოლოზის არაერთი უბრწყინვალესი მაგალითია ქართულ ხუროთმოძღვრებაში და მემორიალურ ხელოვნებაში.

დავით აღმაშენებლის ძეგლის დღევანდელი ლოკაცია სრულ წინააღმდეგობაშია აღიარებულ წესებთან:

1. ძეგლი განთავსებულია ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობის ტრასაზე, ანუ აქტიურ „დინამიურ სივრცეში“. ძეგლი ყოველმხრივ ტრანსპორტის გარემოცვაშია და მუდმივად გადაფარულია აღქმისათვის;

2. ძეგლთან რაიმე ღონისძიების ჩატარება შეუძლებელია. მეტიც, მასთან მისვლა სიცოცხლისთვის სახიფათოა, ის გაჭედილია ორ მაგისტრალს შორის;

3. გარემოს არქიტექტურულ-სივრცული სახე ქაოტურია, არქიტექტურული აბრაკადაბრაა, რაც ართულებს ძეგლის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების აღქმას, მის დანახვასაც კი (იხ. ფოტო ნომრის პირველ გვერდზე);

დარღვეულია ძეგლის განათების ელემენტარული მოთხოვნები. ის მუდმივად კონტრაჟურშია.

ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა შეურაცხყოფს არა მხოლოდ დიდი მეფის და დიდი მოქანდაკის, „ქართველ მიქელანჯელოდ“ სახელდებული (უცხოელების მიერ) მერაბ ბერძენიშვილის ღირსებას, არამედ მთლიანად ერის კულტურულ და ინტელექტუალურ რენომეს.

ათი წელია, არსებობს ახალ ადგილზე ძეგლის დადგმის პროექტი (ესკიზური სტადია), რომელიც შესრულებულია მერაბ ბერძენიშვილისა და ჩემს მიერ. პროექტი მოწონებულია მრავალ საზოგადოებრივ განხილვაზე. შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან.

გამოვხატავ საქართველოს ფართო საზოგადოების, განსაკუთრებით აკადემიური და სახელოვნებო წრეების პოზიციას, გადაუდებელ აუცილებლობად მიმაჩნია, საქართველოს მთავრობამ, თბილისის მერიამ და კულტურის სამინისტრომ განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება დიდი მეფის თავის პირვანდელ არეალში დაბრუნების თაობაზე.

მე პრობლემის ყველა დეტალის საქმის კურსში ვარ. მზად ვარ სამსახურისთვის.

ღრმა პატივისცემით,
ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი, პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის, საქართველოს და სსრკ-ის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი
24.I.2022

P.S.

ამ წერილების ადრესატებზე ჩაბარებიდან ზუსტად თერთმეტი თვე გავიდა.

როგორ განვითარდა მოვლენები?

წერილზე ოპერატიული რეაგირება ჰქონდა კულტურის სამინისტროს. ქალბატონი თეა წულუკიანი ესაუბრა ბატონ პრემიერ-მინისტრს, რომელიც უკვე საქმის კურსში იყო. მან საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვალა წერილის ავტორთან შეხვედრა. შეხვედრა დაინიშნა უმოკლეს ვადაში — 3 თებერვალს.

დიდად სამწუხაროდ, 26 იანვარს მე აღმოვჩნდი საავადმყოფოში. ავადმყოფობამ თითქმის სამი თვე გასტანა, რასაც სარეაბილიტაციო პერიოდი დაეამატა. პროცესი შეჩერდა.

თბილისის მერიიდან, რომლის კომპეტენციაში შედის ორივე საკითხის გადაწყვეტა, პასუხი არ მიმილია.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, საქართველოსთვის და ფართო საზოგადოებისთვის ორივე საკითხი უალრესად მგრძნობიარეა, ისინი გაიგივებულია ეროვნულ ღირსებასთან.

კულტურა არ ყვირის, არ იგინება, არ ისვრის, მაგრამ მას უდიდესი ძალა აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთობის ხასიათს. მიმაჩნია, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრომ და თბილისის მერიამ, უმოკლეს ვადაში, უნდა ჩამოაყალიბონ სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა დეტალს და მიანიჭებს მას კანონის ძალას.

ვ. დ.
22.XI.2022

საქართველოსა და აზერბაიჯანში დიდი პროექტებისთვის ემზადებიან

ევროპა სულ უფრო მეტ გაზს ითხოვს!

ევროპის ბუნებრივი აირით მომარაგების მხრივ საქართველოსა და აზერბაიჯანში უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული პროექტების განხორციელება იგეგმება. მზარდი თანაშრომლობის პერსპექტივებს უტყუარი სტატისტიკური მონაცემები ყველაზე უკეთ წარმოაჩენს.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში ქვეყანამ 18.2 მილიარდი კბ-მეტრი გაზი გაიტანა ექსპორტზე, რაც წლიურად 17.4%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. იანვარ-ოქტომბერში აზერბაიჯანიდან თურქეთში ექსპორტირებულია 6.9 მილიარდი კუბური მეტრი, 9.3 მილიარდი კუბური მეტრი ევროპაში, ხოლო 2 მილიარდი კუბური მეტრი საქართველოში.

2021 წელს აზერბაიჯანმა მთლიანობაში 19 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ექსპორტი განახორციელა. ამასთან, 2020 წლის 31 დეკემბრიდან ევროპაში, კერძოდ იტალიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში აზერბაიჯანული გაზის მიწოდება პირველად დაიწყო, რომლის მოცულობამ 2021 წელს 8,2 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა.

ევროკომისიის ინფორმაციით, აზერბაიჯანისგან უკვე იღებენ გაზრდილი მოცულობით გაზს, რამაც 2021 წელს 8.1 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა; 2022 წლის მოლოდინით კი ეს მოცულობა 12 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს. ევროპისთვის გაზის მიღების ალტერნატიული წყაროები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „ჩრდილოეთ ნაკადი 1“-ის სრულად გაჩერების შემდეგ გახდა.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის **ლევან დავითაშვილის** განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ ევროპა განსაკუთრებით დაინტერესებულია გაზის მიწოდების ალტერნატიული წყაროებით და ყველა საუბრობს ენერგომომარაგების დივერსიფიცირებაზე, საქართველომ, პარტნორებთან ერთად, დაიწყო მნიშვნელოვან ენერგო და ენერგოსატრანზიტო პროექტებზე მუშაობა. მინისტრმა დაადასტურა, რომ აღნიშნული საკითხი საქართველოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ვიზიტის დროს განიხილეს.

„საქართველოს, აზერბაიჯანს, რუმინეთთან და უნგრეთთან ერთად ჰქონდა დაწყებული პროექტი „აგრი“ ჯერ კიდევ 2015 წელს, რომელიც გულისხმობდა კასპიის ზღვის გაზის მიწოდებას ევროპისთვის საქართველოს გავლით, ისე რომ მოხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე თხევად მდგომარეობაში აირის გარდაქმნა და შემდგომ გაზიფიცირება რუმინეთში. ეს პროექტი, სამწუხაროდ, შეჩერდა და შემდგომი განვითარება აღარ ჰქონდა, თუმცა მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, როდესაც ევროპა განსაკუთრებით დაინტერესებულია გაზის მიწოდების ალტერნატიული წყაროებით, როდესაც ყველა საუბრობს ენერგომომარაგების დივერსიფიცირებაზე, ამ პროექტმა მიმდინარე წელს განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა, შესაბამისად, ჩვენ პარტნიორებთან ერთად, დავიწყეთ მნიშვნელოვანი ენერგო და ენერგოსატრანზიტო პროექტებზე მუშაობა.

საქართველოში იმყოფებოდა პრეზიდენტი ალიევი და ამის შემდეგ ჩვენ დავგეგმეთ კონკრეტული სამუშაო პროცესი. დღესაც მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრა ჩვენს სამინისტროში. საქართველოს მხრიდან პროექტში ჩართულია გაზისა და ნავთობის კორპორაცია, აზერბაიჯანის მხრიდან იქნება „სოკარი“, ასევე ჩვენი პარტნიორები რუმინეთსა და უნგრეთში. მნიშვნელოვანია, რომ ამჯერად მოხდეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის სრული შეფასება“, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ეს პროექტი გრძელვადიანია და ერთ წელში ის ვერ დასრულდება.

„პირველ რიგში, ჩვენთვის საჭიროა გვქონდეს სრული სურათი, შეფასება უნდა მოხდეს, შემდგომში უკვე უნდა ჩამოყალიბდეს დეტალური სამოქმედო გეგმა და ეტაპობრივად დავიწყოთ ამ გეგმის შესრულება. უნდა მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა ამ მიმართულებით. სხვადასხვა სცენარს განვიხილავთ, თუმცა დეტალებს არ გავაჟღერებ, იმიტომ, რომ მიმდინარეობს შესწავლა. იმის მიხედვით თუ როგორ მდგომარეობაშია არსებული ინფრასტრუქტურა, ანუ რა ტიპის გაუმჯობესება სჭირდება მას, დაზუსტდება ბიუჯეტიც და პროექტის განხორციელების ვადებიც“.

როგორც ჩანს, ევროპა მხოლოდ აზერბაიჯანული ბუნებრივი რესურსებით არ შემოიფარგლება, მით უმეტეს, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანას განსაკუთრებული მოცულობები არ გააჩნია. უკვე საუბარია შუაზიური სახელმწიფოების ინტერესებზეც გაზის ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ევროპელებს აქვთ სურვილი, რომ კიდევ მეტი გაზი მიიღონ კასპიის საბადოებიდან, მაგრამ „ტანაპის“ პროექტს აქვს ლიმიტი, და თუ ამ პროექტში ჩაერთვება შუა აზიური გაზი თურქმენეთის სახით, გატარების პრობლემაც დადგება.

ამიტომ სულ მალე შეიძლება ახალი მილსადენის მშენებლობის საჭიროება რეალურად დადგეს, რომელიც საქართველოზეც გაივლის. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, თურქმენეთი კასპიის ზღვიდან საქართველოს გავლით ევროპისკენ მიმავალი გაზსადენის მშენებლობას დღის წესრიგში ტოვებს. ამის შესახებ ქვეყნის ვიცე-პრემიერ შაჰინ აბდურახმანოვმა ADIPEC-ის კონფერენციაზე განაცხადა. ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ ეს პროექტი აზერბაიჯანის გავლით საქართველოში, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაზსადენის მშენებლობას ითვალისწინებს.

ბექა დანელია

აკი, ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებსო!

BBC: რეკორდულ დროში გლობალური ეკონომიკის ახალი მკვეთრი ვარდნაა მოსალოდნელი. ნიშნავს თუ არა ეს მორიგ მსოფლიო კრიზისს?

უკრაინაზე რუსეთის თავდასხმამ ისედაც შერყეული მსოფლიო ეკონომიკა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ზღვრამდე მიიყვანა. შესაბამისად, მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნის გამაფრთხილებელი ნიშნებიც სულ უფრო ხშირია. ეკონომისტები და ოფიციალური პირები ერთმანეთის მიყოლებით ამბობენ, რომ კრიზისის თავიდან აცილება შეუძლებელია, თუმცა ერთადერთი კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად ღრმა იქნება ის და რამდენ ხანს გაგრძელდება?

რა ხდება?

მსოფლიო ეკონომიკა ციკლურია: აღმასვლას დაღმასვლა მოჰყვება, შემდეგ იწყება აღდგენის პროცესი მორიგ რეცესიამდე და ა.შ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიომ 5 რეცესია განიცადა, მათ შორის — 2020 წლის კოვიდ-პანდემიით გამოწვეული პროცესები. თუ კიდევ ერთი ახალი რეცესიული პროცესი დაიწყება, მაშინ მსოფლიო ანტი-რეკორდი დამყარდება - ჯერ არასდროს მომხდარა, რომ სულ რალაც რამდენიმე წელიწადში სილარიბის მატებას სიმდიდრის ზრდისთვის გადაეჭარბებინოს. აქ მთავარი მიზეზი უკრაინაში რუსეთის შეჭრაა. მართალია, სხვა ფაქტორებიც არსებობდა, მაგრამ ვლადიმერ პუტინის მიერ ევროპაში გაჩაღებულ ომამდე რეცესიის საფრთხე ნამდვილად არ არსებობდა. ახლა უკვე ეს გარდაუვალი გახდა.

მსოფლიო ეკონომიკის სამი ძრავა — აშშ, ევროპა და ჩინეთი ტემპს აგდებენ. საამისოდ თითოეულ მათგანს კონკრეტული მიზეზი აქვს. თუმცა არსებობს გლობალური პრობლემებიც — კოვიდისა და რუსული აგრესიის შედეგები. რადგან მსოფლიო წარმოებისა და მოხმარების ორი მესამედი სწორედ ზემოთ ხსენებულ სამეულზე მოდის, პლანეტის ყველა სხვა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაც მათზეა დამოკიდებული.

„რუსეთიდან გაზის მიწოდების შეწყვეტის გამო ევროზონას სერიოზული პრობლემები აქვს. ჩინეთი კოვიდ-კარანტინითა და უძრავი ქონების ბაზარზე არსებულ კრიზისს განიცდის. შეერთებულ შტატებში ინფლაციის გამო მოსახლეობის შემოსავლისა და მოხმარების მაჩვენებელმა დაიკლო, მზარდი საკრედიტო განაკვეთები კი ინვესტიციებს აფერხებს“, — ასე აღწერა არსებული სიტუაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა, კრისტალინა გეორგიევამ. **„ეს ყველაფერი ღარიბ და განვითარებად ქვეყნებზე ზემოქმედებს. ისინი სულ უფრო ნაკლებს გამოიმუშავებენ, რადგან ექსპორტზე მოთხოვნა მცირდება, საკვებისა და ენერგიის ფასების ზრდის გამო კი მათი ხარჯები იზრდება“,** — დასძინა მან.

როგორ არ უნდა გამოგვეპაროს კრიზისი?

ეკონომისტები და ოფიციალური პირები ეკონომიკური ვარდნის პროგნოზირებას ცდილობენ. მათ მწარედ ახსოვთ, თუ როგორ გამორჩათ წინა გლობალური ფინანსური კრიზისი და როგორ დასრულდა ეს ყველაფერი. 2008 წელს კრიზისის ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე ატყდა. აშშ-ში, ბრიტანეთსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში რამდენიმე მსხვილი ბანკი ერთდროულად ჩამოიშალა. ფინანსისტებისა და ანალიტიკოსების ძალიან ვიწრო წრის გარდა მაშინ ამას არავინ ელოდა. „ყოველი წინა კრიზისიდან ჩვენ ახლა ვერცერთის პროგნოზირებას ვერ შევძლებდით. თუმცა ამჯერად ვფიქრობ, შესაძლებელია იმის თქმა, რომ დიდი ალბათობით, კრიზისი მაინც იქნება“, — განაცხადა მსოფლიოში ყველაზე მთავარი და ცნობილი ბანკირებიდან ერთ-ერთმა, ჯეიმი დაიმონმა CNBC-თან ბოლო ინტერვიუში.

საიდან გვიახლოვდება უბედურება? შესაძლოა, საკრედიტო ბაზრიდან ან სულაც- საფონდო ბაზრიდან. **„შესაძლოა, ეს იყოს ქვეყანა, ან რაიმე ისეთი ზოგადი, რომლის შესახებაც ჯერ არც კი ვიცით“,** — თქვა დაიმონმა, რომელიც ამერიკულ ბანკს — JPMorgan Chase-ს ხელმძღვანელობს.

ექსპერტების შეფასებით, ამჟამად არსებული ვითარება არაფერია იმასთან შედარებით, რაც წინ გველის. საერთაშორისო სავალუტო ფონდში მიიჩნევენ, რომ ზრდის წლევანდელი მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ნაკლები იქნება, მომავალ წელს კი ომის, ინფლაციის, ჩინეთის ჩაკეტვისა და ენერგეტიკული კრიზისის გამო — კიდევ უფრო ნაკლები. **„მიმდინარე წლის ყველა პრობლემა გლობალურ ეკონომიკას გაუხსნის იმ ჭრილობებს, რომლებიც პანდემიის შემდეგ ჯერ არც**

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ გარევაჭრობის წესები იცვლება. ამას ითვალისწინებს კანონპროექტი, რომლის ავტორიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა, ინიციატორი კი საქართველოს მთავრობა.

როგორც კანონპროექტშია ნათქვამი, ცვლილებების თანახმად ჯარიმა დგინდება შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობისათვის და მუნიციპალიტეტებშიც დედაქალაქის მსგავსი რეგულაციები იმოქმედებს, ამასთან გარევაჭრობას პოლიციის ნაცვლად ადგილობრივი მუნიციპალიტეტი გააკონტროლებს.

„არსებული რეგულაცია რჩება უცვლელი, თუმცა კანონპროექტის თანახმად, ნორმას ემატება სანქციები ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენისთვის, ასევე აღნიშნული ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენისთვის. ეს უკანასკნელი ქმედება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ორგანოს ან უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ითვალისწინებს შესაბამის სანქციას. ასევე, მუხლს ემატება შენიშვნა, რომლითაც განიმარტება დაუმორჩილებლობა ამ ნორმის მიზნებისთვის.

მასთან დგინდება, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების არსებობისას, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამართალდარღვევის საგანი კონფისკაციას ექვემდებარება, ხოლო სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დადგენის უფლებამოსილება ენიჭება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ხოლო ცვლილების შედეგად — მუნიციპალიტეტები,“ — ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

მოშუშებულა. მოკლედ, უარესი წინ არის,“ — წერენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტები უახლეს პროგნოზში. ისინი პროგნოზირებენ ექვსთვიან რეცესიას იმ ქვეყნებში, რომლებზეც მსოფლიო ეკონომიკის დაახლოებით მესამედი მოდის.

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ?

ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ეკონომისტების პასუხი პესიმისტურია. 1980-იანი წლების რეცესიის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა ტექნოლოგიური და ბიზნეს-რევოლუციით იყო განპირობებული. ეს განაპირობა როგორც ინტერნეტმა, ისე — გლობალიზაციამ, რამაც ჩინეთის, რუსეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების აღმავლობა გამოიწვია. მოგვიანებით, განსაკუთრებით 2008 წლის კრიზისის შემდეგ, გადამწყვეტი როლი მონეტარულმა სტიმულირებამ შეასრულა.

ახლა ზრდის ეს წყაროები ამოწურულია, გლობალიზაციამ და სტიმულირებამ კი მიმართულება შეიცვალა. ამავდროულად, ბევრი სტრუქტურული პრობლემა ამ ხნის განმავლობაში კი არ მოგვარდა, პირიქით — გაუარესდა. მათ შორის მთავარია მოსახლეობის დაბერება, შრომის პროდუქტიულობის ზრდის შენელება და კლიმატის ცვლილების შედეგები. მხოლოდ შემდეგი ტექნოლოგიური რევოლუცია გადაარჩენს მსოფლიო ეკონომიკას, — ამბობს Oxford Economics-ის წამყვანი ეკონომისტი ადამ სლატერი, რომელმაც განაახლა თავისი პროგნოზი ნოემბერში და რეცესია იწინასწარმეტყველა.

ინტერნეტ-ეკონომიკის მსგავსი ნახტომი მსოფლიო ეკონომიკაში ჯერ არ იგეგმება. რეცესიის თავიდან ასაცილებლად კი საჭიროა სამი არსებული პრობლემის მოგვარება. ესენია — ფასების ზრდა, კარანტინი ჩინეთში და ენერგეტიკული კრიზისი ევროპაში. აქედან ყველაზე მარტივია ჩინეთის გახსნა. ამისთვის მხოლოდ კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებაა საჭირო. თუმცა ჩინეთის ეკონომიკის გამოღვიძება მაშინვე გაზრდის ენერგომოთხოვნას, რაც იმას ნიშნავს, რომ გაამწვავებს პირველ პრობლემას — ინფლაციას. ენერგეტიკულ კრიზისსა და ინფლაციასთან გამკლავება კი გაცილებით რთულია. **„ახლა მსოფლიო უფრო მყიფე გახდა. სულ უფრო მეტი გაურკვევლობა, მერყეობა, გეოპოლიტიკური დაპირისპირება და სტიქიური უბედურებებია. ამ სამყაროში კრიზისი ნებისმიერ ქვეყანას ემუქრება“,** — ამბობს ადამ სლატერი.

ᲬᲘᲜᲐ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ ᲚᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲤᲐᲡᲣᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲠᲐ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲚᲐᲠᲡ ᲓᲝᲚᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲡ — ამ და სხვა თემებზე ეკონომისტმა **აკაკი ცომაიამ** ასეთი კომენტარი გააკეთა: ლარს ამყარებს საგარეო მოთხოვნის მკვეთრი ცვლილება და ზრდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში. მისივე თქმით, ლარის კურსის გამყარებას ხელი შეუწყო უცხოური ვალუტის ჭარბმა შემოდინებამაც.

„წინასაახალწლო პერიოდის დასაწყისთან დაკავშირებით, ლარზე მოთხოვნა იზრდება, შესაბამისად თანაბარ პირობებში, თუ სხვა ფაქტორებთან საქმე არ გვექნება, ლარის გაუფასურებას არ უნდა ველოდოთ. კიდევ ერთი რაც ლარის სიმყარესთან არის დაკავშირებული, არის ეროვნული ბანკის გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ასევე ხელს უწყობს მყარი კურსის შენარჩუნებას“, — აღნიშნა **აკაკი ცომაიამ.**

ცომაია ქვეყანაში ინფლაციის მაღალ დონესაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დააგვიანა.

„არა მხოლოდ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, არამედ მსოფლიოს ცენტრალურმა ბანკებმა პოლიტიკის გამკაცრება დააგვიანეს, რამაც მოგვცა საკმაოდ დიდი ინფლაციის ტენდენციები, მათ გვიან დაიწყეს პოლიტიკის გამკაცრება, ამდენად ინფლაციის მაღალი დონე შემაწუხებელი ხდება საზოგადოებისთვის, ცხადია, რომ აქ ეროვნულ ბანკს არჩევანი არ აქვს და მან პოლიტიკა უნდა შეინარჩუნოს მანამ, სანამ ინფლაციის დონის მოთოკვას ვერ შეძლებს, ჯერჯერობით მოცემულ მომენტში ვერ ვხედავთ იმ მდგომარეობას, რომ ინფლაციის დონე მოთოკილია.

კითხვაზე, უნდა ველოდოთ თუ არა ინფლაციის შემცირებას, აკაკი ცომაია პასუხობს, რომ ალბათ უფრო უნდა ველოდოთ, რადგან მსოფლიო ბაზარზე ფასების დონის შემცირება შეინიშნება და ამან უნდა მოახდინოს საქართველოზე გავლენა.

„მსოფლიოში გლობალურ სასურსათო პროდუქციაზე ფასების დონის კლების ტენდენცია შეინიშნება და ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ამან საქართველოს ეკონომიკაზე ასახვა უნდა ჰპოვოს, მაგრამ ჯერჯერობით ინფლაციის დონე კვლავ მაღალია, ამიტომაც ცენტრალური ბანკი მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას ინარჩუნებს. მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ შედეგი უნდა გამოიღოს, დაკრედიტების მიმართულება უნდა შემცირდეს, თუ საგარეო მოთხოვნის დინამიკა შემცირდება, რასაც ვხედავთ ჩვენ ბოლო პერიოდში, ეს უარყოფით გავლენას ახდენს ფასების ზრდაზე და შესაბამისად, ინფლაციის დონე არ უნდა იყოს ისეთი მაღალი, როგორიც ჩვენ გვქონდა ამ წელს, მე არ ვიცი 3%-ს დაუახლოვდება თუ არა, თუმცა დინამიკა საქართველოში იმის გათვალისწინებით, რასაც ახლა ვუყურებთ, კლებისკენ უნდა წამოვიდეს“, — აღნიშნა აკაკი ცომაიამ.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲗ ᲕᲘᲙᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ!

2022 ᲬᲚᲘᲡ იანვარ-ოქტომბერში საქართველომ 58%-ით ნაკლები ხორბალი იყიდა, ვიდრე 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში. საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის 10 თვეში საქართველომ 134,322.97 ტონა ხორბლისა და მელისინის იმპორტი განახორციელა, 2021 წლის 10 თვეში კი 318 800.84 ტონის.

არსებული სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, იანვარ-ოქტომბერში იმპორტირებული ხორბლის 93%-ი რუსეთზე მოდის, ხოლო დანარჩენი ყაზახეთზე, სომხეთზე, უკრაინაზე, თურქეთზე , ავსტრიასა და გერმანიაზე. მიმდინარე მაჩვენებლების თანახმად, 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველომ რუსეთიდან 45,409.57 ათასი დოლარის ღირებულების 124,926.19 ტონა ხორბალი იყიდა.

მთლიანობაში კი 10 თვეში საქართველომ იმპორტირებულ ხორბალში სულ 48,308.62 ათასი დოლარი გადაიხადა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ხორბლის იმპორტის შემცირება პურის ფქვილის იმპორტის ზრდის ხარჯზე ხდება. რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე, გარკვეულ თვეებში, საქართველო ძირითადად ფქვილის იმპორტზე იყო დამოკიდებული და ქვეყანაში მიზერული რაოდენობის ხორბალი შემოდიოდა.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგავა „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ დღეისთვის ფქვილისა და ხორბლის იმპორტის მხრივ ბალანსი დაცულია. მისივე განმარტებით, ბაზარზე საკმაოდ სტაბილური ვითარებაა და 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 68-70 ლარია, მაშინ როდესაც 3 თვის წინ 80 დოლარი და მეტიც კი ღირდა.

„ხორბალსა და ფქვილს შორის დღეისათვის ასე თუ ისე ბალანსია შენარჩუნებული, იქიდან გამომდინარე, რომ 3 თვის წინ რუსეთიდან მცურავმა ბაჟმა დაიკლო და 30 დოლარამდეც კი დავიდა. პიკი გახსოვთ, ბაჟი თებერვალ-მარტში 100 დოლარზე ზემოთაც კი იყო ასული. დღეს ბაჟი 45 დოლარის ფარგლებშია. ეს ტარიფი იმითაა ნორმალური, რომ გარკვეული სტაბილურობა მომავლისთვის იყოს განსაზღვრული. გააგრძელა მუშაობა „მარცვლეულის დერეფანმა“, რომლის გარკვეულ შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნეოდა ის, რომ მიდიოდა საუბარი იმაზე, ხომ არ დაბლოკავდა მის მუშაობას რუსეთი. თუმცა საბოლოოდ შეთანხმება შემდგომ 4 თვეზე უკვე მიღწეულია. ვიცით, რომ რუსეთს დიდი მოსავალი აქვს. რუსეთს ჰქონდა პრეტენზია, რომ მისი ხორბალი და სასუქი არ გადიოდა შეუფერხებლად მსოფლიო ბაზარზე, რაც გათვალისწინებული იყო გაეროსთან გაფორმებული მემორანდუმით და რუსული მხარე უკმაყოფილო იყო მისი არასრულყოფილი მოქმედებით. გაერომ დაადასტურა, რომ შეთანხმება მიღწეულია და შესაბამისად რუსული ხორბალი, რომელიც დიდ რაოდენობითაა, საუბარია 50 მლნ ტონა საექსპორტო მოცულობაზე, ესეც გამოვა მსოფლიო ბაზარზე, რაც ფასზე დადებითად იმოქმედებს. ვფიქრობთ, რომ მცურავი ბაჟი დღეს არსებულ პარამეტრებში დარჩება. შესაბამისად წისქვილებსაც მუშაობის შესაძლებლობა მიეცემათ.

უახლოესი თვეების განმავლობაში რაიმე სერიოზულ ცვლილებებს ბაზარზე არ ველით: არც ხორბალზე და არც ფქვილზე. პირიქით, დადებითი ტენდენციების მოლოდინია. 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი 68-70 ლარია, რაც 3 თვის წინანდელ ფასებთან შედარებით დაკლებულია. ამ ფასებით მუშაობა საკმაოდ ნორმალურად შეიძლება და უახლოესი თვეების განმავლობაში პურზე ფასები სტაბილურად შენარჩუნდება“, — განაცხადა ლევან სილაგავამ.

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲖᲔ ᲓᲘᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲐ!

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ პლანეტის თითქმის ყველა რეგიონი, შესაძლოა დიზელის საწვავის დეფიციტის წინაშე დადგეს. ამის შესახებ Bloomberg-ი წერს და აღნიშნავს, რომ დიზელის საწვავის მიწოდების შეფერხებამ თითქმის ყველა გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე ინფლაცია გაამწვავა და ეკონომიკური ზრდა შეანელა.

ნიუ-იორკში დიზელის ფასები გასული წლის განმავლობაში 50%-ით გაიზარდა.

როგორც მასალაშია აღნიშნული, დეფიციტის ზრდაზე გავლენა მოახდინა ნედლი ნავთობის შეზღუდულმა მარაგმა, კორონავირუსის პანდემიის შედეგებმა.

„სიტუაცია შეიძლება ბევრად უფრო დრამატული გახდეს, თუ ევროკავშირი უარს იტყვის რუსეთიდან მიწოდებაზე. ევროპა უფრო მეტადაა დამოკიდებული დიზელის საწვავზე, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა რეგიონში“, — წერს გამოცემა.

ამერიკის შუალედურ არჩევნებში გაიმარჯვა... ფლორიდის გუბერნატორმა რონ დესანტისმა!..

მხოლოდ ჩვენთან კი არა, ამერიკაშიც და, ალბათ, სხვაგანაც, ხალხი არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობს და არ კარგავს ხოლმე იმედს, რომ მორიგი არჩევნების შემდეგ რაღაც უეჭველად შეიცვლება სიკეთისკენ. ამერიკაში ეგრეთწოდებული შუალედური არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ამერიკელები სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრებს, და შტატების გუბერნატორებს აძლევენ ხმას.

არჩევნები ამერიკაში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და შუალედური ჰქვია იმიტომ, რომ პრეზიდენტის ოთხწლიანი ვადის შუაში ტარდება ხოლმე. თავის არსით, შუალედური არჩევნები, რაღაც, რეფერენდუმის მსგავსია მოქმედი პრეზიდენტისა და მისი საქმიანობის შესახებ.

ამერიკელი სპეციალისტები, ამ არჩევნებზე დიდი წითელი ტალღის აგორებას წინასწარმეტყველებდნენ, ოღონდ, აქ ფერი არ უნდა აგვერიოს: ევროპაში, წითელი ფერი მემარცხენე ძალებთან ასოცირდება, ამერიკაში კი, პირიქით, წითელი ფერი ამერიკელი კონსერვატორების ფერია და ლურჯი დემოკრატების. მოკლედ, ექსპერტები ამბობდნენ, რომ ამ არჩევნებში რესპუბლიკელები დიდი უპირატესობით გაიმარჯვებდნენ, თან, ეს წინასწარმეტყველება ძლიერი არგუმენტებით იყო გამყარებული: ბაიდენის რეიტინგი დაბალია, ქვეყანაში სერიოზული ინფლაციაა და ფასები ყოველდღე მატულობს, რითაც, ბუნებრივია, ამერიკელი ამომრჩეველი ძალიან უკმაყოფილოა.

ბოლოსდაბოლოს, მოხდა ის, რომ არაფერი დიდი წითელი ტალღა არ აგორებულა, თუმცა, წარმომადგენელთა პალატაში, რესპუბლიკურმა პარტიამ უმრავლესობის შესაქმნელად საჭირო მანდატებზე მეტი რაოდენობა მოიპოვა. უკვე ცხადია, რომ წარმომადგენელთა პალატას რესპუბლიკელები გააკონტროლებენ. სენატის არჩევნებმა კიდევ უფრო დიდად განაცვიფრა ყველა. ჯორჯიის შტატში, მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო, რომელიც დეკემბერში გაიმართება, მაგრამ ჯორჯიის გარეშეც უკვე გადაწყვეტილია ყველაფერი.

დემოკრატებს ისევ 50 სენატორი ეყოლებათ. ამით სენატი, მომავალი ორი წლის განმავლობაში, კვლავ დემოკრატების ხელში იქნება, რადგან, ხმების გაყოფის შემთხვევაში, სასწორს სენატის თავმჯდომარის იგივე, ვიცე-პრეზიდენტის ხმა გადახრის, რომელიც დემოკრატია. სენატში წაგებით, რესპუბლიკელების მემარჯვენე ფრთას წარმოადგენს, თუმცა, ტრამპის დიდი კრიტიკოსი და სერიოზული კონკურენტია. დესანტისმა 20 პროცენტის უპირატესობით, ანუ საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო არჩევნები. მას ხმა ფლორიდის იმ რეგიონებმაც მისცა, რომელიც ადრე დემოკრატებს ემხრობოდა. საკმაოდ ბევრი რესპუბლიკელის გონებაში, დესანტისი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატად მოიაზრება, რაც ტრამპს შესამჩნევად აღიზიანებს. მან დესანტისს უკვე მოუგონა დამამცირებელი ზედმეტი სახელი – DeSanctimonious, რაც ქართულად „ფარისეველს“ ნიშნავს.

ამასობაში, ანალიტიკოსებს ერთი ძალიან ლოგიკური შეკითხვა უჩნდებათ: როგორ მოახერხა რეიტინგ-დაცემულმა პრეზიდენტმა ბაიდენმა ამდენი ხმის მოგროვება? მათი აზრით, დემოკრატებმა ოსტატურად გამოიყენეს რესპუბლიკული პარტიის სისუსტე. რესპუბლიკელები უკვე, კარგა ხანია, ორად არიან გახლეჩილები: ტრამპისტებად და ძველი რესპუბლიკელი პარტიის მიმდევრებად. ამერიკაში, ბევრია უკმაყოფილო დემოკრატებით, მაგრამ მათ, ასევე, არ მოსწონთ ტრამპის იზოლიაციური პოლიტიკა.

არჩევნებმა ისიც აჩვენა, თუ სხვა მხრივ ვინ დარჩა მოგებული ან წაგებული, და ყველაზე მეტად წაგებული დონალდ ტრამპი აღმოჩნდა, რადგან, მისი ბევრი კანდიდატი კონგრესში ვერ გავიდა, რამაც მკაფიოდ დაადასტურა, რომ ტრამპის ავტორიტეტი საკმაოდ შელახულია. ყველაზე მეტად მოგებულად ფლორიდის გუბერნატორი რონ დესანტისი ჩაითვალა, რომელმაც ფლორიდის შტატის გუბერნატორის არჩევნები მეორედ მოიგო.

რესპუბლიკელების ფიასკოში, ასევე, დიდი როლი აბორტების თემამ ითამაშა, რამაც მთლიანად გადაფარა ეკონომიკური საკითხები. არის ერთი ტენდენცია, რომელიც რესპუბლიკელებს ეხმარება. ესაა მათი მომხრეების მატება ამერიკის ესპანურენოვან მოსახლეობაში. ლათინოსები, წინათ, დემოკრატებს უფრო უჭერდნენ მხარს, ვიდრე რესპუბლიკელებს.

ამბობენ, რომ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაიზრდება, რის მთავარი მიზეზი მოსახლეობის ამ ნაწილზე კათოლიკური ეკლესიის დიდი გავლენაა. ეკლესიას კი, პრობლემები აქვს დემოკრატებთან მათი ზოგიერთი ძალიან ლიბერალური შეხედულების გამო, მაგალითად, ლგბტ თემთან დაკავშირებით. რაც შეეხება ამერიკის საგარეო პოლიტიკას, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, ამ მხრივ, ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

მაგარი ინდოელი, 42 წლის რიში სუნაკი ინგლისის პრემიერია!

დიდი ბრიტანეთის კონსერვატიულ პარტიაზე უფრო კონსერვატული ქვეყანაზე არაფერი მეგონა, მაგრამ, ნახეთ, რა მოხდა: კონსერვატორები პირველი პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა ქვეყანაში, რომელმაც მთლიანად და, ვფიქრობ, საბოლოოდ, დაანგრია უძველესი კონსერვატული სტერეოტიპები. ჯერ იყო და, წლების განმავლობაში, ქალები მართავდნენ ბრიტანეთს: ლეგენდარული მარგარეტ ტეტჩერი, მერე, ტერეზა მეი და, ამ ბოლო დროს, ლიზ ტრასი. ახლა კიდევ, დიდი ბრიტანეთის ისტორიაში პირველად, კონსერვატული პარტიის ლიდერი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი აზიური წარმომავლობისა და არაქრისტიანული მრწამსის ეთნიკური ინდოელი გახდა, რომელიც ქვეყნის ისტორიის ბოლო 200 წლის მანძილზე ყველაზე ახალგაზრდა ბრიტანელი პრემიერია.

ეს გახლავთ 42 წლის რიში სუნაკი. იგი ემიგრანტთა ოჯახში დაიბადა საუთჰემპტონში. სუნაკის წინაპრები პენჯაბიდან არიან – ერთ-ერთი შტატია ინდოეთში, საიდანაც, სუნაკის პაპა და ბებია აღმოსავლეთ აფრიკაში გადასახლებულან. სწორედ, იქ დაიბადა რიშის მამა. მოგვიანებით, ოჯახი სამუდამო საცხოვრებლად ბრიტანეთში გადასახლდა. რიშის მამა ინგლისის ჯანმრთელობის სისტემაში მუშაობდა.

დედა კი, საკუთარ აფთიაქს მართავდა. რიში, თურმე, პატარაობისას დედას ეხმარებოდა ამ ოჯახური ბიზნესის მართვაში. მშობლებმა არაფერი დაიშურეს შვილისთვის ბრწყინვალე განათლების მისაცემად: იგი ექსკლუზიურ კერძო სკოლაში, მერე კი ვინჩესტერის კოლეჯში სწავლობდა. სკოლაში, რიში სუნაკი გაზეთის რედაქტორი ყოფილა. შემდეგ, სწავლა ოქსფორდში განაგრძო პოლიტიკის, ფილოსოფიისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე. აქ ის სავაჭრო და საინვესტიციო საზოგადოების პრეზიდენტი იყო.

სტუდენტობისას, სუნაკმა სტაჟირება გაიარა კონსერვატული პარტიის შტაბ-ბინაში. სწავლის დამთავრების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში, საინვესტიციო ბანკის, Goldman Sachs-ის ანალიტიკოსად მუშაობდა. მოგვიანებით, ამერიკაში, სტენფორდის უნივერსიტეტში ბიზნეს-ადმინისტრიცაციის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. როგორც თავადვე აღნიშნავს ხოლმე, ამერიკამ დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ იქ გაიცნო მომავალი მეუღლე. ასე ამბობს, ამერიკაში ჩამოვყალიბდი, როგორც პიროვნებაო.

რიში სუნაკი, იმთავითვე შეუერთდა ბრექსიტის მომხრეთა ბანაკს. 2018 წელს მან საბინაო, სათემო და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა. მოგვიანებით, ბორის ჯონსონის პოლიტიკური მეგობრების ვიწრო წრეშიც მოხვდა. გაპრემიერებულმა ჯონსონმა სუნაკი დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წევრად აქცია და, სულ მალე, ინგლისის ფინანსთა მინისტრის პორტფელიც ჩაბარა. აი, აქ დაიწყო რიში სუნაკისთვის დიდი გამოწვევების ხანა. განსაკუთრებით, კორონავირუსის დროს გადაეტვირთა სამუშაო განრიგი.

ლოკდაუნების შედეგად გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად, სუნაკმა ბიუჯეტიდან 400 მილიარდი დოლარი გამოჰყო, რომლის მიზანი ბიზნესების დახმარება და დასაქმებულთათვის სახელფასო სუბსიდიების გამოყოფა იყო. პროგრამამ დიდი პოპულარობა მოიპოვა და მისი ავტორიც ცნობილი ფიგურა გახადა დიდ ბრიტანეთში. მან, ერთხელ, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქვეყნის ფინანსური პრობლემების დაძლევაში, მას ამერიკული გამოცდილება დაეხმარა. ფინანსთა მინისტრობის დროს, რიში სუნაკი სამინისტროში ჩინოვნიკურ განწყობათა აღმოფხვრასა და ბიზნეს მენტალიტეტის დანერგვას ცდილობდა.

სკანდალებში გახვეულმა ბორის ჯონსონმა გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როცა რიში სუნკმა ფინანსთა მინისტრის თანამდებობა დატოვა. ამით, ბორის ჯონსონმა ხაზი გაუსვა კონსერვატულ პარტიაში სუნაკის სერიოზულ ავტორიტეტს.

მოგვიანებით, სუნაკმა თავისი კანდიდატურა კონსერვატიული პარტიის ლიდერის არჩევნებში წამოაყენა, მაგრამ, როგორც გახსოვთ, კონსერვატიული პარტიის წევრთა უმრავლესობამ, მაშინ, ქალბატონ ლიზ ტრასს დაუჭირა მხარი. საარჩევნო დებატების დროს, რიში სუნაკი აფრთხილებდა პარტიას, რომ ლიზ ტრასის ეკონომიკური პროგრამა არარეალური და სახიფათო იყო, მაგრამ პარტიის უმრავლესობამ არ დაუჯერა მას და მაინც ლიზ ტრასს არგუნა უპირატესობა. ეტყობა, მაშინ, კონსერვატიული პარტია უფრო კონსერვატიული იყო, ვიდრე, ახლა. გავიდა სულ რაღაც, ორი თვე და ყველა დარწმუნდა, რომ სუნაკი მართალი იყო.

ლიზ ტრასის ფიასკოს შემდეგ, ბრიტანეთის პარტიული ელიტა ელოდა, რომ სუნაკი წამოხტებოდა და ხმამაღლა იყვირებდა, ხომ გაფრთხილებდითო, მაგრამ არა, სუნკმა მშვიდი დუმილი არჩია. მან მხოლოდ წყნარ, მაგრამ მტკიცე ტონში განუცხადა პარტიას, რომ მზად იყო კიდევ ერთხელ მოესინჯა თავისი კანდიდატურის წამოყენება პარტიის ლიდერად ასარჩევად.

სუნაკის გაპრემიერებამ მასობრივი აუიოტაჟი გამოიწვია... ინდოეთში. ხალხი ემოციას ვერ მალავდა. ინდური პრესა აჭრელდა სათაურებით თემაზე, რომ ინდოეთის შვილი ბრიტანეთის იმპერიის სათავეში მოექცა. ეს კია, რიში სუნაკს არც თუ ძალიან მარტივ და სასიამოვნო პერიოდში უწევს ბრიტანეთის მართვა. ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემებია: მაღალი ინფლაცია, ფინანსური რეცესიის საფრთხე და ფასების კრიზისი, მაგრამ ბრიტანეთი სავსეა იმედით, რომ ახალ პრემიერს აქვს კრიზისიდან გამოსვლის მყარი და კონკრეტული გეგმა და, რაც მთავარია, ფართო მხარდაჭერა პარლამენტში.

რიში სუნაკი 2009 წელს დაქორწინდა. მისი მეუღლე, 42 წლის აქშატა მერთი მილიარდერის ნარიანა მერთის ქალიშვილია. აქშატას მამას ხშირად ინდოეთის ბილ გეითს უწოდებენ, რომელმაც საინფორმაციო ტექნოლოგიების მრავალეროვნული კომპანია, Infosys, დააარსა. ინგლისური მედიის მონაცემების თანახმად, 2022 წლისთვის რიში სუნაკისა და მისი ცოლის ქონებამ 877 მილიონი დოლარი შეადგინა. ისინი დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის არიან. სუნაკები, ქვეყნის მასშტაბით, 15 მილიონი დოლარის უძრავ ქონებას ფლობენ. მათ ორი გოგონა, კრიშნა და ანუშკ, ჰყავთ.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

„მოსკოვია“ თუ რუსეთის ფედერაცია?

უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის საიტზე გაჩნდა პეტიცია, რომლის ავტორები სთავაზობენ უკრაინის პრეზიდენტს, რომ რუსეთს „მოსკოვია“ დაერქვას. ასევე, დოკუმენტში არის მოწოდება, რომ ტერმინი რუსული მოსკოვურად შეიცვალოს, ხოლო რუსეთის ფედერაციას „მოსკოვის ფედერაცია“ დაერქვას.

საკითხის განსახილველად პეტიციამ 25 000 ხმა უნდა მოაგროვოს. ხმების მიცემა 90 დღის განმავლობაში გაგრძელდება. ცნობისთვის, „მოსკოვია“, იგივე „მოსკოვის დიდი სამთავრო“ იყო ფეოდალური სახელმწიფო დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა XIV საუკუნის შუა წლებში მოსკოვის სამთავროს გაძლიერების შედეგად. XV საუკუნის II ნახევარში მოსკოვის დიდ სამთავროში მიმდინარეობდა ხანგრძლივი შიდა ფეოდალური ომი, რომელიც ვასილი II ვასილის ძის (1424-1462) გამარჯვებით დასრულდა. ამ დროს მოსკოვის დიდი სამთავროს ტერიტორია შეადგენდა 430 ათ. კვ.კმ, ხოლო მოსახლეობა 3 მლნ. ადამიანს. XV საუკუნის II ნახევარში მოსკოვის დიდი სამთავრო (მოსკოვია) ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს ძირითად ბირთვად იქცა.

ტყვეთა მორიგი გაცვლა

ტყვეთა მორიგი გაცვლის შედეგად უკრაინამ 36 ადამიანი დაიბრუნა, — ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი ავრცელებს. გათავისუფლებულთა შორის მარიუპოლის დამცველები და ის სამხედრო მოსამსახურეებიც არიან, რომლებიც ოკუპანტებმა ჩერნობილში ომის პირველივე დღეებში დაიკავეს. ტყვეობაში მათ 8 თვე გაატარეს.

კიევი ელექტროენერგიისა და წყლის გარეშე

კიევის მერის, ვიტალი კლიჩკოს განცხადებით, 24 ნოემბრის მონაცემებით, ქალაქის 70% ელექტროენერგიის გარეშე რჩება.

კლიჩკოს თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ელექტროენერგიის მიწოდება „რაც შეიძლება მალე“ აღდგეს, თუმცა ზუსტი ვადები დამოკიდებული იქნება უკრაინის ენერგოსისტემაში ბალანსის აღდგენაზე. კიევის მერმა ასევე განაცხადა, რომ დნეპრის მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ დედაქალაქის მოსახლეობას წყალმომარაგება უკვე აღუდგა.

კიევი ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების გარეშე 23 ნოემბერს დარჩა, მას შემდეგ რაც რუსეთმა უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე მასირებული შეტევა მიიტანა.

ბავშვთა ქალაქ „მზიურს“ ვრცელი ტერიტორია დაუბრუნდა

— ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გუშინ თბილისის მერიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, დაახლოებით 18 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მუნიციპალიტეტს მესაკუთრესთან მოლაპარაკებების გზით, ადგილმონაცვლეობის პრინციპით უბრუნდება. აქვე, დედაქალაქის მერმა ხაზი გაუსვა იმ მიდგომას, რაც თბილისის მუნიციპალიტეტს 2017 წლიდან აქვს მწვანე არეალებთან დაკავშირებით.

„თქვენ იცით, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის, პირადად ჩემთვის რეკრეაციული და მწვანე სივრცეების არსებობა დედაქალაქში. არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში. ეს არის პარკების განახლება, სკვერების რეაბილიტაცია და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ის მავნე პრაქტიკა, რომელიც წლების განმავლობაში დანერგილი იყო და ყოველდღიურად ხდებოდა. ეს იყო მწვანე არეალების, სპორტული მოედნების მიტაცება და მათ ადგილზე გარკვეული სამშენებლო სამუშაოების წარმოება, თუმცა, 2017 წლიდან რადიკალურად შეიცვალა მიდგომები, რადგან ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, დედაქალაქი იყო კიდევ უფრო მწვანე, იყოს კიდევ უფრო მეტი რეკრეაციული სივრცე, იმისთვის, რომ გავაუმჯობესოთ ეკოლოგიური მდგომარეობა და ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ნორმალურ გარემოში, ნორმალურ პირობებში შეძლონ დასვენება, განტვირთვა და თუნდაც, ვარჯიში. ჩვენ ძალიან ბევრი ასეთი ფართი დავუბრუნეთ მუნიციპალიტეტს, სადაც სხვადასხვა პროექტი განხორციელდა რეკრეაციული სივრცეებისა თუ სპორტული მოედნების სახით. რა თქმა უნდა, ეს მიდგომა და დამოკიდებულება დღესაც გრძელდება.

თქვენ იცით მზიურის პარკი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სივრცეა და დიდი ისტორიის მატარებელი პარკია. თავის დროზე თბილისისთვის მორიგი ფილტვის გაჩენასა და ვერეს ხეობაში პარკის გაშენებაზე ცნობილი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე ბევრს საუბრობდა. იგი თბილისელებს მოუწოდებდა, თითო აგური მიეტანათ ვერეს ხეობაში ოცნების ქალაქის ასაშენებლად, სადაც პატარები ბეთანიიდან მონაბერ სუფთა ჰაერზე დაისვენებდნენ. გარდა იმისა, რომ უნიკალური მწვანე სივრცეა, ამ ქალაქის თანამედროვე ისტორიისა და კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. თქვენ იცით, რომ 2 წლის წინ განახლდა ეს პარკი და ახალგაზრდებისთვის, ქალაქის სტუმრებისთვის ერთ-ერთი სასიამოვნო და საყვარელი ადგილია, თუმცა, ჩვენ ვერ მოვახერხეთ პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულყოფილად წარმოება, რადგან პარკის გარკვეული ტერიტორია კერძო საკუთრებაში იყო. ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები კერძო მესაკუთრესთან და დღევანდელი გადაწყვეტილება მინდა გავაცნო თბილისელებს ამ სივრცესთან დაკავშირებით. მინდა მივულოცო დედაქალაქის მოსახლეობას, ყველა იმ ახალგაზრდას, ყველა იმ ადამიანს, ვინც მზიურის პარკით სარგებლობს - მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა აღნიშნული მიწა, რომელიც დაახლოებით, 18 000 კვადრატული მეტრია. კერძო მესაკუთრესთან მოლაპარაკებების შედეგად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მოხდება ამ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა. ეს საკითხი მთავრობაზე უკვე გავიტანეთ. გადაეგზავნება საკრებულოს და გადაწყვეტილება იქნება მიღებული. 2 ჰექტრამდე ტერიტორია მიემატება მზიურის პარკს. ჩვენ დავიწყებთ პროექტის მომზადებას, რომელიც მომდევნო ეტაპზე განხორციელდება.

ჩვენი ეს დამოკიდებულება გაგრძელდება მწვანე არეალების მიმართ, იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი იყოს ყველაზე მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა, მოწესრიგებული და განახლებული, რადგან ეს სივრცეები უნდა გამოიყენონ ჩვენმა შვილებმა, მომავალმა თაობებმა და ამ ქალაქში მცხოვრებმა ყველა თაობის ადამიანმა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

„სვანეთის დღეები“ - ორბელიანის სასახლეში

ორბელიანების სასახლეში „სვანეთის დღეები“ გაიმართა. დასკვნით ღონისძიებაზე ორბელიანების სასახლეში პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა და მათ სვანეთის ისტორიის შესახებ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული მასალა — ექვთიმე თაყაიშვილის სვანური ექსპედიციის ფოტოები და ბესარიონ ნიჟარაძის საარქივო მასალის გამოფენა დაათვალიერებინა.

„სვანეთის დღეები“, მომღერალ სოფიო გელოვანის კონცერტით, საზეიმოდ დაიხურა.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მადლობა გადაუხადა „სვანეთის დღეების“ მონაწილეებს, სვანეთის ადგილობრივ მოსახლეობას, რომელმაც სამი დღის განმავლობაში, ორბელიანების სასახლეში საკუთარი რეგიონი წარადგინა და ასევე, პროექტის ორგანიზატორებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, სვანეთის დღეების დასკვნით ღონისძიებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კულტურის საკითხებში კოტე ნაცვლიშვილი, რომელმაც პრეზიდენტსა და დიპლომატებს იმ ღონიძიებების მთავარი თემების შესახებ ესაუბრა, რომელიც „სვანეთის დღეების“ ფარგლებში გაიმართა და რომელიც სვანური, ტრადიციული სამართლის ფორმებს ეხებოდა.

ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნიკ ბერესფორდმა მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს მასპინძლობისთვის და ელჩებს სვანეთსა და რეგიონებში განხორციელებული ერთობლივი პროექტებისთვის. საქართველოში ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის განცხადებით, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს რეგიონულ განვითარებას.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს რეგიონულ განვითარებას სხვადასხვა პროექტით, განსაკუთრებით სოფლად და სხვადასხვა თემში და ნამდვილად ვამაყობთ, რომ ვხედავთ მათ წინსვლას, ცხოვრების დონის ამაღლებას და ასევე რეგიონების ევროკავშირთან კავშირს, იმ სხვადასხვა პროექტის საშუალებით, რომლებსაც ჩვენ ვავითარებთ“, — განაცხადა ელჩმა.

სალომე ზურაბიშვილის ინიციატივის ფარგლებში, პირველად საქართველოს პრეზიდენტის სასახლის სივრცე მთლიანად დაეთმობა საქართველოს ყველა რეგიონს, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, წარმოადგინოს საკუთარი საქმიანობა, ადგილობრივი პროდუქცია, ხელოვანთა ნამუშევრები, თვითშემოქმედებითი ანსამბლები და მიღწევები.

◎ ყატარი – 2022

გრანდთა ვარამი

რამდენჯერ უკითხავთ ინგლისელთა გაწბილებულ გულშემატკივრებს – ნუთუ ფეხბურთი მათი მოგონილიაო?

დიახ, ნისლიანი ალბიონის ამაყ მკვიდრთ დღემდე ერთადერთხელ ეღირსათ უმაღლესი სანაკრებო ტიტულით ტკბობა და ისიც საკითხავია, რამდენად სამართლიანად ჩათვალა გერმანიასთან სკანდალურ საშინაო ფინალში ტოფიკ ბახრამოვმა ბევრის აზრით არგატანილი გოლი.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ბრიტანელები, როგორც იქნა, მჭიდროდ მიუახლოვდნენ ტრიუმფს – შარშან პანდემიის გამო გადმოდებული ევრო-2020-ის გადამწყვეტი ბრძოლა განახლებულ „უემბლიზე“ პენალტებით დათმეს იტალიასთან, ამ დღეებში კი ყატარში დაწყებული მუნდიალის სტარტზე დაარბიეს პოლიტიკურ ქარტეხილებში გადაშვებული ირანის ნაკრები, რომელიც პლანეტარულ ფორუმზე მესამედ გაიყვანა პორტუგალიელმა სპეციალისტმა კარლუშ კეირუშმა.

აზიელებს რომ სამშობლოში დაღვრილ პროტესტანტთა სისხლის გამო არ ეფეხბურთებოდათ, სახელმწიფო ჰიმნების შესრულებისას დადასტურდა, როცა ყველამ მოკუმული ტუჩებით მოისმინა ნაცნობი ჰანგები, საკონტროლო გასროლა კი 30-ე წუთზე კურიოზულ ვითარებაში განხორციელდა – ამ ეპიზოდში საკუთარ მცველთან შეჯახება მეკარეს ტვინის შერყევად და იძულებით ცვლილებად დაუჯდა. ჰოდა, აქედან მოყოლებული, კუნძულელებმა ქვა ქვაზე აღარ დატოვეს მეტოქეთაგან – 6:2(!).

გოლები: ბელინგემი, საკა (2), სტერლინგი, რაშფორდი, გრილიში; ტარემი (2).

მართლაც, როცა გარეთ საუთგეითს ფუფუნება აქვს თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩართოს რაშფორდი, ფოდენი და გრილიში, დაგვეთანხმებით, ამ გუნდს სავსებით საფუძვლიანი საჩემპიონო ამბიცია ექნება.

საპირისპირო შთაბეჭდილება დატოვა სამი ფინალის წამგებმა კიდევ ერთმა გრანდმა ნიდერლანდებმა, რომელმაც მხოლოდ ბოლო წუთებზე, ისიც მეკარე ონანას უხეში შეცდომების წყალობით გატეხა მანამდე ღირსეულად მებრძოლ სენეგალელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა – 2:0.

გოლები: გაკპო, კლაესენი. აღსანიშნავია, რომ აფრიკელებს ტრავმირებული უდავო ლიდერი მანე აკლიათ, მაგრამ მაინც მრისხანე ძალად გამოიყურებიან.

რაც შეეხება მეორე დღის დასკვნით აკორდს, ამერიკა დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და ლიბერიის მოქმედი პრეზიდენტის ჟორჟ ვეას ვაუის გოლით დამსახურებულად ამარცხებდა უელსს, მაგრამ კელტები სარბიელზე მურის გამოჩენამ გამოაფხიზლა, ხოლო პარტნიორები უბერებელმა ბეილმა იხსნა – 1:1.

მეხი ტურნირის მესამე დღეს მოულოდნელად იქ გავარდა, სადაც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. საუდის არაბეთმა ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი არგენტინა შეარცხვინა – 2:1. ფრანგი სპეციალისტის ანრი რენარის შეგირდებმა მრისხანე მეტოქეს ხაფანგად თამაშგარე მდგომარეობები დაუგეს, სადაც უამრავჯერ გააბეს და ამ მიზეზით 3 გოლი გაუუქმეს. მართალია, მესიმ თავისი მეხუთე მუნდიალი გატანილი პენალტით აღნიშნა, მაგრამ... ამ დროს როგორ არ გავიხსენოთ თბილისის „დინამოს“ ოფსაიდ-კოშმარი ბელგიის „სტანდარტთან“ 1982 წელს.

კატასტროფულად დაიწყო სასტარტო მატჩი საფრანგეთმაც, მაგრამ მალევე მოეგო გონს და ჟირუს დუბლით, რომელიც ანრის დაეწია (51-51 გოლი ნაკრებში) ავსტრალია დააჩოქა – 4:1.

დანია – ტუნისი 0:0, მექსიკა – პოლონეთი 0:0 (ლევანდოვსკის დარტყმული პენალტი ოჩოამ მოიგერია).

თუ არგენტინელთა კრახი მეხის გავარდნის ტოლფასი იყო, მეოთხე სათამაშო დღეს გერმანიის ფიასკო იაპონიასთან ამ უკანასკნელის, პირდაპირი მნიშვნელობით, სეისმომედეგობასთან კავშირის გამო, შეგვიძლია მიწისქვეშა ბიძგად შევაფასოთ, თანაც მსგავსება სამხრეთამერიკელთა წაგებასთან აბსოლუტური გახლდათ როგორც ანგარიშით – 1:2, ისე სიუჟეტით – ფავორიტი ამჯერადაც გუნდოგანის პენალტით დაწინაურდა, მაგრამ ბოლოს ტაიმბოლით შერცხვა. შეგახსენებთ, რომ წინა მუნდიალზე ბუნდესნაკრები ჯგუფში კორეამ ჩატოვა, ასე რომ, სახეზეა აზიური კომპლექსი.

ამავე ჯგუფში ესპანეთის გაახალგაზრდავებულმა ნაკრებმა კოსტა-რიკასთან გაივარჯიშა – 7:0, არადა ფორუმის წინ ლუის ენრიკე სამშობლოში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს დე ხეას და, განსაკუთრებით, სერხიო რამოსის სახლში დატოვების გამო.

გაჭირვებით მიაღწია მიზანს ბელგიამ, რომელსაც კანადასთან მხსნელებად მეკარე კურტუა (დევისს პენალტი აუღო) და ტრავმირებული ლუკაკუს შემცვლელი ბატჩუაი მოევლინენ, არადა ნეკერჩხლის ფოთლებმა, განსაკუთრებით შესვენებამდე, მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს.

ხორვატია – მაროკო 0:0.

კონსერვატორიას მსოფლიოში აღიარებული კომპანიის როიალები ექნება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ქალაქ ჰამბურგში იმყოფებოდა, სადაც როიალების მწარმოებელ მსოფლიოში აღიარებულ კომპანია „სტეინვეი ენდ სანს“ (STEINWAY & SONS) ეწვია. მინისტრი ვიზიტის ფარგლებში კომპანიის პრეზიდენტს ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში, გვიდო ციმერმანსა და რეგიონულ დირექტორ ანტონ ვილჰელმს შეხვდა.

კულტურის სამინისტროს ცნობით, თეა წულუკიანმა დაათვალიერა STEINWAY&SONS-ის როიალების საწარმო და საქართველოსთვის განკუთვნილი რვა როიალი, რომლებიც ჰამბურგიდან 25 ნოემბერს გამოიგზავნება. როიალებს სახელმწიფო კონსერვატორია 15 დეკემბრისთვის მიიღებს.

როიალების გამოსაგზავნი პარტიის შემოწმების მიზნით და კომპანიასთან შემდგომი თანამშრომლობის გათვალისწინებით მინისტრთან ერთად კომპანიას მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტიაც ეწვია, რომელმაც ერთ-ერთ როიალზე რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა და საქართველოს ეს დიდი სიახლე მიულოცა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინსტრუმენტების დეფიციტის აღმოფხვრაზე მუშაობა და კომპანია „სტეინვეისთან“ მოლაპარაკება 2021 წელს დაიწყო.

2022 წლის 14 სექტემბერს სტუდენტთა და პედაგოგთა სხვადასხვა თაობის ნახევარსაუკუნოვანი ოცნება ასრულდა – კულტურის სამინისტრომ „სტეინვეი ენდ სანსის“ ცხრა როიალი მიიღო და 50-წლიანი წყვეტის შემდეგ კონსერვატორიის როიალების ფონდი განაახლა. კომპანია „სტეინვეის“ მრავალწლიან ისტორიაში ეს შესყიდვა, ევროპის მასშტაბით, უპრეცედენტოდ ითვლება. ამ როიალებიდან ხუთი სამუშაოა, ორი – ნახევრად საკონცერტო და ორი – კამერული ანსამბლისთვის განკუთვნილი. ამასთანავე, ხელშეკრულების თანახმად, როიალების მოწოდებასთან ერთად, კომპანია იღებს ვალდებულებას, საქართველოში პერიოდულად გამოგზავნოს კომპანიის ინჟინრები, რომლებიც როგორც როიალების მოწოდებისას, ასევე შემდგომ უფასოდ გამართავენ (ააწყობენ), ტექნიკურად შეამოწმებენ ინსტრუმენტებს და უფასოდ მოამზადებენ/გადაამზადებენ ადგილობრივ სპეციალისტებს (ამწყობებს), ვინაიდან, როგორც ცნობილია, საქართველოში ამწყობის პროფესია, დიდი ხანია, იშვიათობად იქცა.

2021 წელს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი ინსტრუმენტების დეფიციტის საკითხის გადაჭრის ინიციატივით გამოვიდა, ხოლო მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე კომპანია „სტეინვეისთან“ მოლაპარაკებებს ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია ქართველ-ამერიკელი პიანისტისა და კომპოზიტორის, ცნობილი ხელოვანის, გიორგი ლაცოს წვლილი, რომელმაც სამინისტროსა და კომპანიას შორის მოლაპარაკებების დაწყებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი.

მოლაპარაკებების შედეგად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, კულტურის სამინისტროს მიერ მსოფლიოში აღიარებულ მწარმოებელთან გაფორმდა რამდენიმეწლიანი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ეტაპობრივად, 2025 წლამდე, კონსერვატორიას გადაეცემა 78 როიალი, აქედან: 17 როიალი – 2022 წელს; 61 როიალი – 2023-2025 წლებში ყოველწლიურად (კონსერვატორიის მიერ განსაზღვრული მოდელებისა და ოდენობის მიხედვით).

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს როიალებისთვის გამოიყო 1 753 000 ევრო, ხოლო სულ 2022-2025 წლებში – 8 012 636 ევრო.

მუსიკალური ინსტრუმენტების დეფიციტი, სამწუხაროდ, აწუხებს არა მხოლოდ კონსერვატორიას, არამედ განსაკუთრებულად – სსიპ ე. მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელს (სადაც მუსიკალური ინსტრუმენტები ბოლოს გასული საუკუნის 70-იან წლებში შეიძინეს), სსიპ გორის სამუსიკო კოლეჯს (1971 წლის შემდეგ კოლეჯს ახალი ინსტრუმენტი არ შეუძენია), სსიპ რუსთავის სამუსიკო სასწავლებელსა (60-იანი წლების შემდეგ ინსტრუმენტები არ განახლებულა) და სხვა სახელოვნებო სასწავლებლებს. 2021 წლის ოქტომბერში, ბოლო 50 წლის განმავლობაში პირველად, სახელმწიფოს დახმარებით ინსტრუმენტების ბაზა განახლდა სსიპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში, ე.წ. ნიჭიერთა ათწლედში. კულტურის სამინისტრომ სასწავლებლისათვის შეიძინა სრულიად ახალი, მაღალი ხარისხის მუსიკალური ინსტრუმენტები: როიალი (STEINWAY & SONS ~Essex Piano), ფლეიტა, საყვირი, ტრომბონი, კლასიკური გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები, ქსილოფონი და ვალტორნა, თუმცა, მიუხედავად ამისა, „ნიჭიერთა ათწლედში“ ინსტრუმენტების დეფიციტი კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება.

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ – ყინულზე!

თბილისში ყველაზე დიდი ყინულის მოედანი გაიხსნა

სპორტ-კომპლექს „არენა I“-ში გახსნილი ყინულის მოედანი მომხმარებლებს უკვე მასპინძლობს, როგორც „კომერსანტს“ სპორტ-კომპლექს „არენას“ დირექტორმა ვასილ ლიპარტელიანმა უთხრა, მომხმარებელთა დაინტერესება საკმაოდ მაღალია და ჯგუფების დაკომპლექტება მოედნის გახსნამდე დაიწყო.

მისი თქმით, „არენას“ ყინულის მოედანი მოსწავლეებს, როგორც ყინულის ჰოკეიში, ასევე ფიგურულ სრიალის მიმართულებით მიიღებს, მოედანზე მისვლის და ციგურების დაქირავების შესაძლებლობა მოყვარულებსაც შეეძლებათ.

„მას შემდეგ რაც ყინულის მოედნის გახსნა დავაანონსეთ, მსურველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. მოედანი ჩვენ უფრო ადრე უნდა გაგვეხსნა, თუმცა ავსტრიიდან დანადგარების ჩამოტანაზე გარკვეული პრობლემები შეიქმნა და გახსნის გადადება მოგვიწია. ჩვენ ვასწავლით როგორც ფიგურულ სრიალს, ასევე ჰოკეისაც, გვყავს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული ჯგუფები, მომხმარებელს შევთავაზებთ სხვადასხვა შოუებს, ჩვენი დარბაზი აღჭურვილია 800 კაციანი ტრიბუნით, უმაღლესი დონის განათებით და გახმოვანებით, შესაბამისად მოედანი მზად არის იმისთვის, რომ ქალაქში საუკეთესო შოუები ჩავატაროთ“, – აღნიშნა ვასილ ლიპარტელიანმა.

რაც შეეხება საერთაშორისო მიმართულებას, ლიპარტელიანი ამბობს, რომ „არენა I“-ის ყინულის მოედანს შესაძლებლობა აქვს სამოყვარულო საერთაშორისო შოუებს უმასპინძლოს, რადგან მოედანი პროფესიონალური შეჯიბრებებისთვის დადგენილ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

„საერთაშორისო მიმართულებით შესაძლოა რაღაც გარკვეულ ფესტივალებს ვუმასპინძლოთ, მაგრამ მხოლოდ არაპროფესიონალურ დონეზე, იმიტომ რომ თვითონ ყინულის მოედნის სტანდარტს სიგანით ჩამოვრჩებით, ამიტომ საერთაშორისო პარამეტრებით ფიგურულ სრიალში და ჰოკეიში ეს ვერ მოხერხდება, თუმცა ბავშვებისთვის და სამოყვარულო დონეზე შესაძლებელია, მათ შორის შესაძლებელია ისეთი გასართობი შოუების მოწყობა, როგორიც არის „ცეკვავენ ვარსკვლავები“, ოღონდ ყინულზე, – აღნიშნა ვასილ ლიპარტელიანმა.

არენაზე ერთჯერადი ვიზიტის ღირებულება 20 ლარია, საკუთარი ციგურებით კი 15 ლარი.

თაკო კვაჭანტირაძე

გარდაიცვალა ზურაბ კიკნაძე

89 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

ზურაბ კიკნაძე 1933 წლის 3 ოქტომბერს დაიბადა. 1940-1951 წლებში სწავლობდა თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლაში. 1951 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს სემიტოლოგიის განხრით. 1956-1960 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. 1960 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ძველი აღმოსავლეთის ენათა განყოფილებაში.

1977 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, თსუ-ს დიდი საბჭოს წევრი. 2002 წლიდან მოღვაწეობდა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტში.

ზურაბ კიკნაძე არის რამდენიმე წიგნისა და არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; პეტერბურგის, მოსკოვის, იერუსალიმის, ხოლონის, პარიზის, რომის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, ბიბლიური საზოგადოების ფორუმების (ბუქარესტი, კვიპროსი, მოსკოვი, ბრიუსელი) მონაწილე. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა პეკინში, როდოსში, მალაგასა და გრანადაში.

ზურაბ კიკნაძეს ჰომეროსის „ოდისეის“ თარგმნისათვის (1975, თ. ჩხენკელთან ერთად) 1978 წელს მიენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, ხოლო ავტორთა ჯგუფთან ერთად პუბლიცისტიკის დარგში წიგნისათვის „საყმაწვილო მითოლოგიური ლექსიკონი“ — სახელმწიფო პრემია. მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის მედალი (2006 წ.). ზურაბ კიკნაძის პირველი თარგმანი — „გილგამეში“ (შესავლით, ლექსიკონითა და კომენტარებითურთ) 1963 წელს გამოქვეყნდა.

ვინ დაუკვეთა კვარაცხელიას მკვლელობა?

გიორგი კავილაძის დედამ გააზრებულად იცის, ვინ დაუკვეთა თავის შვილს ეს მკვლელობა, — ამის შესახებ მოკლული ნიკო კვარაცხელიას დედამ, იზა ომაძემ „ქრონიკას“ განუცხადა.

სააპელაციო სასამართლოში ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმის განხილვა დაიწყო. პირველ სხდომას მოკლული ახალგაზრდის დედა ესწრებოდა. იზა ომაძე, მსჯავრდადებულ აკო ჭელიძესა და გიორგი კავილაძისგან მკვლელობის დამკვეთების დასახელებას ითხოვს. მსჯავრდადებულები კი ამტკიცებენ, რომ მკვლელობა ჯგუფურად არ ჩაუდენიათ და აქამდე უცნობი მოწმეების გამოკითხვაც მოითხოვეს.

„მინდა, ერთ-ერთი მკვლელის დედას განსაკუთრებით, გიორგი კავილაძის დედას, ქალბატონ ნათია ჯაფარაშვილს მოვუწოდო, რომ მასზე ძალიან ბევრია დამოკიდებული იმიტომ, რომ მისცეს შვილს უფლება, აღიაროს და თქვას, მოჰყვეს ყველაფერი, რა მოხდა და უმოტივოდ როგორ მოკლეს ნიკო კვარაცხელია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან იმდენი რამ გაცხადდება! ძალიან ბევრი რამ გაცხადდება, რადგან ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა ძალიან შორს მიდის. მე არაერთხელ მითქვამს და ვამბობ — ნიკო კვარაცხელია მოკლეს ქვეყნის მტრებმა. უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან დამკვეთები, ვინ არის ის სამსახური, რომელიც ასე პერიოდულად გვიკლავს წარმატებულ შვილებს.

კავილაძის დედა ფლობს იმ ინფორმაციას, რომ უმოტივოდ არ შეიძლებოდა ნიკო კვარაცხელია მოეკლათ. კავილაძის დედამ გააზრებულად იცის, ვინ დაუკვეთა თავის შვილს ეს მკვლელობა“, — თქვა გუშინ ომაძემ.

ქალი, რომელიც ქუთაისში ძაღლმა დაკბინა, კლინიკაში გარდაიცვალა

ქუთაისში ქალი, რომელიც 31 ოქტომბერს ძაღლმა დაკბინა, შემდგომი გართულებებით კლინიკაში გარდაიცვალა. სავარაუდოდ, გართულება გამოიწვია ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის არასრული კურსის ჩატარებამ. ექიმების განცხადებით, ქალს ცოფისთვის დამახასიათებელი სიმპტომები აღენიშნებოდა, ის გულის გაჩერებით გარდაიცვალა.

პაციენტის ანალიზებში ცოფი არ აღმოჩნდა. კლინიკაში ვარაუდობენ, რომ ჩატარებული ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის გამო ვირუსი, შესაძლოა, ანალიზში არ გამოვლენილიყო. გარდაცვლილის ოჯახმა ექსპერტიზაზე უარი განაცხადა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრიდან პაციენტმა გაქცევა სცადა

თბილისში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრიდან 29 წლის პაციენტმა გაქცევა სცადა. პაციენტმა გაქცევის მიზნით ზეწრები გადააბა, რითაც ქვემოთ ჩასვლას ცდილობდა. ჩასვლისას ზეწრები გაწყდა და პაციენტი გადავარდა.

არსებული ინფორმაციით, 29 წლის კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა და ის კლინიკაში გადაიყვანეს. მიყვანის შემდეგ დაშავებულს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარეს. ახალგაზრდა კაცი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გვიან ღამით შეიყვანეს. შეყვანის შემდეგ მან გაქცევა და კლინიკის თვითნებურად დატოვება სცადა. მას შემდეგ კი, რაც ოთახში მარტო დარჩა, მესამე სართულიდან გადახტა. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები დასრულებულია. მომხდარის შესახებ კლინიკა კომენტარს არ აკეთებს.

საქართველოს სახალხო არტისტი თამარ სხირტლაძე

93 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სახალხო **არტისტი თამარ სხირტლაძე.**

თამარ სხირტლაძე 1929 წელს, ლაგოდეხში დაიბადა. 1949 წელს დაამთავრა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებული დრამატული სტუდია. შემდგომში კი გახდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. თამარ სხირტლაძემ სცენაზე 70 წელი გაატარა და ქართულ კინოსა და თეატრში უხუცეს მსახიობად ითვლებოდა.

მან მრავალ თაობას დაამახსოვრა თავი...

მწუხარებას გამოვთქვამ კინოსა და თეატრის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, თამარ სხირტლაძის გარდაცვალების გამო. თავისი გამორჩეული ნიჭისა და განსაკუთრებული ტალანტის დამსახურებით, თამარ სხირტლაძემ მრავალ თაობას დაამახსოვრა თავი ყველასთვის საყვარელი პერსონაჟებისთვის სულის შთაბერვით. ვუსამძიმრებ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ირაკლი ღარიბაშვილი

უხუცესი და ყველასთვის საყვარელი მსახიობი

თამარ სხირტლაძე თეატრისა და კინოს მსახიობი გახლდათ. 2010 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ გაიხსნა თამარ სხირტლაძის სახელობის ვარსკვლავი, გამოიცა საიუბილეო ალბომი „თამარ სხირტლაძე“ (2014, ავტორი დიმიტრი ხვთისიაშვილი). 2019 წელს მიენიჭა „წლის პერსონის“ წოდება; ასევე, იმავე წელს, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისგან „ელისაბედ (ლიზა) ჩერქეზიშვილის სახელობის ჯილდო“ მიიღო.

1949-1967 წწ. თამარ სხირტლაძე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ხოლო 1967-1975 წლებში რუსთავის თეატრის მსახიობი გახლდათ.

აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული თეატრალური როლები: ფოსინე (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), მაყვალა (მ. ბარათაშვილის „მარინე“), ლამაზისეული (ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“), მზევინარი (ა. ყაზბეგის „მოძღვარი“), მაია (დ. კლდიაშვილის „უბედურება“), მისის პირსი (ბ. შოუს „პიგმალიონი“), გვირისტინე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), გონერილა (უ. შექსპირის „მეფე ლირი“), ეკა (ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“), დედა (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“) და სხვ. თამარ სხირტლაძემ ბევრი სახასიათო პერსონაჟი შექმნა ქართულ კინოში: „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“ (1975), „წინაპართა მიწა“ (დარია, 1979), „დღეს ღამე უთენებია“ (მოხუცი ევა, 1983), „ადამიანთა სევდა“ (1984), „ფესვები“ (1987), „ზვარაკი“ (1990), „ლუკას სახარება“ (1998), „ნუცას სკოლა“ (ნიკას დედა, 2000), „ჯვართოსანი“(მართა, 2009), „გული(“ (2011), „37-“ (2012) და სხვ.

თამარ სხირტლაძეს მიღებული აქვს არაერთი პრემია და ჯილდო: „ხელოვნების ქურუმი“, „საქართველოს სახალხო არტისტი“, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი, საქართველოს სსრ „ხუთწლედის მატიანის“ პრემია კინოფილმში „დღეს ღამე უთენებია“ მთავარი როლის შესრულებისთვის, ასევე, იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო უსამძიმრებს თამარ სხირტლაძის ოჯახს, ახლობლებსა და მთელ საზოგადოებას“.

საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას საქართველოს სახალხო არტისტის, ქართული კინოსა და თეატრის ღვაწლმოსილი ქალბატონის, მსახიობ

თამარ სხირტლაძის

გარდაცვალების გამო.

ვიზიარებთ ქ-ნ მარინა წულუკიძის, ოჯახის და სრულიად საქართველოს თეატრალური სამყაროს მწუხარებას.

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲛᲝᲥᲔᲠᲘᲐᲡ!

უახლოესი მეგობრები უდიდეს პატივისცემას გამოვხატავთ და ვეტერან დიპლომატს, ღირსეული ოჯახის ღირსეულ შვილს, აჭარის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲛᲝᲥᲔᲠᲘᲐᲡ

ვულოცავთ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სკვერში ვარსკვლავის გახსნას.

მრავალჟამიერ მეგობარო!

ᲝᲗᲐᲠ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ, ᲯᲘᲛᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔ, ᲓᲔᲛᲣᲠ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ, ᲐᲚᲘᲙᲐ ᲝᲚᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲔᲛᲘᲙᲝ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ, ᲕᲝᲕᲐ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ, ᲒᲠᲘᲨᲐ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ, ᲘᲚᲝ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲪᲔᲖᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, ᲓᲐᲗᲝ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲕᲗᲝ ᲬᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘ.

ᲔᲚᲘᲡᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ პიანისტმა, მრავალი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა და ამჟამად საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, ელისო ბოლქვაძემ ნორჩი მუსიკოსებისთვის ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში მასტერკლასი ჩაატარა.

გაიმართა მოსმენა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ნიჭიერი პიანისტები მონაწილეობდნენ. შერჩეული ახალგაზრდა ტალანტები, ქართველი პიანისტის მხარდაჭერით, 2023 წლის გაზაფხულზე პარიზში, სადღესასწაულო კონცერტზე წარდგებიან. გალა-კონცერტი საერთაშორისო ფონდის, SOS Talents Foundation-ის ორგანიზებით, მარსელ დასოს ისტორიულ სასახლეში გაიმართება.

მსგავსი სახის მხარდაჭერა და თანადგომა, ისეთი მაღალი კლასის პიანისტისგან, როგორიც ელისო ბოლქვაძეა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობებისთვის.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ
ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲜᲘᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲙᲘᲜᲝ-ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ წიგნის „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲜᲘᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲙᲘᲜᲝ-ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ.

მისი რეჟისორი და სცენარის ავტორი მირზა (პაპუნა) დავითაიაა. ანიმაციამდე მან, ჯერ კიდევ 2011 წელს აუდიოწიგნი და კომიქსი შექმნა. სცენარი 2013 წელს დაიწერა, თუმცა ამ დრომდე დაფინანსება ვერ მოიპოვა. ანიმაციის ბიუჯეტი მილიონი დოლარი გახლავთ.

რეჟისორმა ანიმაციაზე მუშაობა 2020 წელს დაიწყო. მასში როტოსკოპიის ტექნიკაა გამოყენებილი, რაც გულისხმობს იმას, რომ მსახიობებს იღებ და შემდეგ ფონებს ხატავ.

ფილმის პრემიერა 9 ოქტომბერს ლოს-ანჯელესში შედგა. ამ მცირე დროში მან უკვე მოასწრო სიეტლის კინო-ფესტივალზე მეორე ადგილის მოპოვება და სან-დიეგოს ფესტივალზე „ᲛᲘᲥᲡ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ“ ნომინაციაში გამარჯვება.

ფილმს სამი კომპოზიტორი ჰყავს. ნიაზ დიასამიძე, იზა ლილუაშვილი და ჯეფრი ალან ჯონსი.

მსახიობების როლები კი შემდეგნაირად გადანაწილდა: ნესტან-დარეჯანი — **მანიკა ასათიანია,** ტარიელი — **გივი ბარათაშვილი,** ავთანდილი — **გიორგი ცხადაძე,** თინათინი-**ანა ჯავახიშვილი,** ფატმან ხათუნი — **ლელა წურწუმია,** როსტევანი — **ალეკო ბეგალიშვილი,** ფრიდონი — **ანდრია გველესიანი,** ქაჯეთის მეფე — **ონისე ონიანი.**

მაყურებელები ამ მართლაც საკულტო ნაწარმოების ანიმაციურ ეკრანიზაციას დეკემბრიდან ნახავენ.

გვინდა წარმატება ვუსურვოთ ქართველ რეჟისორსა და სცენარისტ პაპუნა დავითაიას, რომელიც მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია.

მოამზადა
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐᲛ

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘ 1930-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲰᲝᲚᲝᲓᲝᲛᲝᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲐᲠᲐ

რომის პაპმა, ფრანცისკემ უკრაინაში ომი 1930-იანი წლების ჰოლოდომორს შეადარა. რომის პაპმა ყველას მოუწოდა, ილოცონ უკრაინელებისთვის. **„მოდით, ვიფიქროთ წამებულ უკრაინაზე. 26 ნოემბერს აღინიშნება ჰოლოდომორის საშინელი გენოციდის წლისთავი. 1932-33 წლების შიმშილით მოსპობა, რომელიც ხელოვნურად გამოიწვია სტალინმა. ვილოცოთ ამ გენოციდის მსხვერპლთათვის და ვილოცოთ უამრავი უკრაინელისთვის — ბავშვებისთვის, ქალებისთვის, მოხუცებისთვის, რომლებიც დღეს აგრესიის წამებით იტანჯებიან“,** — განაცხადა პაპმა ფრანცისკემ.

„ᲞᲣᲢᲘᲜᲝ, ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ!“

23 ნოემბერს, ერევნის რესპუბლიკის მოედანზე დაკარგული და დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ახლობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი როგორც ხელისუფლებას, ასევე საერთაშორისო აქტორებს მათი დატყვევებული, დაკარგული ვაჟების დაბრუნებას სთხოვენ.

აქციის მონაწილეები რუსეთის საელჩოსთან იკრიბებიან. მათთან აქვთ სომხურ და რუსულ ენებზე პლაკატები, რომელთაც აწერიათ: **„პუტინო, დააბრუნე ჩვენი ბიჭები“, „არ დაუშვათ სომხეთსა და რუსეთს შორის ძმობა დაიშალოს“, „დააბრუნეთ სომეხი ტყვეები აზერბაიჯანიდან“, „დაკარგულები მძევლები არიან ალიევის ხელში“, „ვლადიმერ ვლადიმეროვიჩ, დაგვეხმარე შვილების დაბრუნებაში“.**

ერთ-ერთი დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ნათესავმა, არსენ ღუკასიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათი მოთხოვნაა, დაკარგული ბიჭების სტატუსი სწრაფად გაირკვეს და სასწრაფოდ დააბრუნონ სამშობლოში.

ᲒᲐᲛᲐᲗᲠᲐᲮᲔᲑᲐ „ᲗᲐᲚᲘᲑᲐᲜᲣᲠᲐᲓ“

ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲨᲘ, საფეხბურთო სტადიონზე, „თალიბანის“ წევრებმა ათასობით ადამიანის წინაშე თორმეტი ადამიანი, მათ შორის სამი ქალი, გაამათრახეს. თალიბანის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, მათ ბრალად ედებოდათ „მორალური დანაშაულები“, მათ შორის მრუშობა, ყაჩაღობა და ჰომოსექსუალური კავშირები.

გამოცემა აღნიშნავს, რომ ერთი თვის განმავლობაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ისლამისტური დაჯგუფება საჯაროდ სჯის ხალხს. „დასჯილებმა“ 21-იდან 39-მდე დარტყმა მიიღეს. თალიბანის კიდევ ერთი ოფიციალური პირის თქმით, გამათრახების მაქსიმალური რაოდენობაა 39.

„ᲐᲕᲐᲢᲐᲠᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠ ჯეიმს კამერონის ცნობილი ფილმის — „ავატარის“ მეორე ნაწილის ახალი თრეილერი გამოქვეყნდა. სურათი სახელწოდებით „ავატარი: წყლის გზა“ ეკრანებზე 16 დეკემბერს გამოვა.

ფილმის სიუჟეტი პირველი სურათის მოვლენებიდან 10 წლის შემდეგ ვითარდება. მთავარი გმირები მაყურებლებისთვის პირველი ნაწილიდან ცნობილი ჯარისკაცი დედამიწიდან ჯეიკ სალი და პლანეტა პანდორას ბინადარი ნეიტირი იქნებიან, რომლებიც შვილებს ზრდიან.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7192; ᲔᲕᲠᲝ - 2.7951;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.2255;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4808; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1460;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6025;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8841

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+7,	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2,	ᲓᲦᲔ	+16
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+9,	ᲓᲦᲔ	+20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+17
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+9,	ᲓᲦᲔ	+18

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge